



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

გარიგების ცნება და სახეები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ქეთევან უერთაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

თამარ ჩიტოშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი II. გარიგების ცნება	8
2.1. ტერმინი „გარიგების“ წარმოშობის ისტორია, ცნება და მნიშვნელობა	8
2.2. გარიგება, როგორც ნების გამოვლენა	10
2.3. ნების გამოვლენის მიზანი	16
თავი III. გარიგების სახეები	18
3.1. ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები	18
3.2. მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები	22
3.3. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები	23
3.4. სასყიდლიანი და უსასყიდლო გარიგებები	24
3.5. გარიგების ფორმა	25
3.6. ბათილი გარიგებანი	29
3.6.1. ბათილი გარიგების სახეები	33
3.7. შეცდომით დადებული გარიგებანი	36
3.8. მოტყუებით დადებული გარიგებანი	41
3.9. იძულებით დადებული გარიგებანი	44
თავი IV. კვლევის შედეგები	48
დასკვნა	49
გამოყენებული ლიტერატურა	50

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გარიგების ცნება და სახეები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ნაშრომში განხილულია ტერმინი „გარიგების“ ისტორიული საწყისები, მისი, როგორც ცნების დამკვიდრება ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ტერმინი „გარიგება“ პირველად მე-18 საუკუნეში გვხვდება. იგი გერმანული წარმოშობის სიტყვაა და მოიხსენიება როგორც „სამართლებრივი საქმე“ — Rechtsgeschäft.

რა თქმა უნდა მე-18 საუკუნეში არსებული გარიგების ცნება განსხვავდება თანამედროვე ცნებისაგან, რადგან დროთა განმავლობაში საჭირო გახდა მისი მოდიფიცირება.

თემაში განხილულია როგორც გარიგების ცნება, ასევე მისი სახეები. მათი თავისებურებანი. თითოეული მათგანის მსგავსება და განსხვავება ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში.

ასევე, თემაში წარმოდგენილია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ამასთან, განვიხილავთ კანონის სპეციფიკურ მიდგომებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, სწორედ ამ საკითხებს შევხებით მოცემულ ნაშრომში და შევეცდები შეძლებისდაგვარად, ამომწურავად აღვწერო მოცემული თემა.

ცხადია აღნიშნული თემა მისი მასშტაბების გათვალისწინებით ამოუწურავია და კანონმდებლობით იდეალურად არ არის მოწესრიგებული, თუმცა, დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ ხარვეზების აღმოფხვრას.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

This paper discusses the concept and types of Deal's under international and national law. In particular, the legislation and practice of Georgia and European countries.

The paper discusses the historical origins of the term "Deal" and its establishment as a concept in Georgian and European legislation.

As we know, the term "deal" first appeared in the 18th century. It is a word of German origin and is referred to as a "legal case" - Rechtsgeschäft.

Of course the notion of a deal in the 18th century is different from the notion of modernity, as over time it has become necessary to modify it.

The topic discusses both the concept of the transaction and its types. Their peculiarities. The similarity and difference between each of them in Georgian and European legislation.

Also, the topic is presented in modern case law on this topic. However, we will discuss the specific approaches of the law to various issues.

Therefore, it is these issues that we will address in this paper and I will try to describe the given topic as exhaustively as possible.

Clearly this topic is inexhaustible given its scale and is not perfectly regulated by law, however, over time, legislation and case law will certainly help to eliminate these shortcomings.

The paper includes an annotation, a table of contents, an introduction, a main topic (divided into chapters and subsections), a conclusion, and a list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. გარიგება სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ძირითად ინსტიტუტად ითვლება. თავისი აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი გამოიყენება არამხოლოდ სამოქალაქო, არამედ, კერძო სამართლის სხვა ნაწილებშიც. დღესდღეისობით ადამიანები არაერთ განსხვავებულ გარიგებებს დებენ, თითოეული მათგანი, ბუნებრივია ვერ იქნება სამართლებრივად გამართული, შესაბამისად წარმოიშვება ნების ნაკლი. სწორედ ამ ნაკლის არსებობა იწვევს გარიგებების აქტუალობას თანამედროვე სამყაროში. რაზეც ცალსახად მიუთითებს ფართო და მრავალფეროვანი სასამართლო პრაქტიკა მოცემული თემის ირგვლივ.

თუ გადავხედავთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს , კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით თემის აქტუალობაში, რადგან გადაწყვეტილებების ძირითადი ნაწილი სწორედ გარიგებებიდან წარმოშობილ დავებს ეთმობა.

რა თქმა უნდა, გარიგებების აქტუალობას ადგილი აქვს არამარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო სამართალში. სხვა ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით , შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოცემული თემის აქტიურ გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია გარიგების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა და სამართლის მეცნიერებაში განვითარებული მიდგომების შესწავლა. ამასთანავე, ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის კვლევის მიზანია განისაზღვროს გარიგებების მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში. ის კონკრეტული სფეროები რაც მოწესრიგებულია მასზე დაყრდნობით და ამასთან, ის ნაკლოვანებები რომლებიც გვხვდება საკანონმდებლო დონეზე.

რა თქმა უნდა, კანონი ცალსახად და მტკიცედ განსაზღვრავს გარიგებების ცნებას და მნიშვნელობას, თუმცა, ჩემი კვლევის მიზანი იყო კიდევ ერთხელ წარმომეჩინა მოცემული თემა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტში.

კვლევის ამოცანა: მოცემული კვლევის ამოცანაა ღრმად ჩაწვდეს ქართული თუ უცხო ქვეყნების კანონმდებლობის იმ მაკავშირებელ და განმასხვავებელ დეტალებს, რომლებიც ასახავს გარიგებებთან დაკავშირებულ მიდგომებს სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან.

ასევე, კვლევის ამოცანაა, გავეცნოთ სასამართლო პრაქტიკასა და გადაწყვეტილებებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ, ლოგიკური, ძირითადად კი იურიდიული კვლევის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ერთერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს, რადგან კარგად წარმოჩინდება ეროვნული კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია გარიგების ცნება, სახეები და სასამართლო პრაქტიკა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამართალში და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

უნდა აღინიშნოს, რომ გარიგებების თაობაზე მრავალი წიგნის თუ ნაშრომის მოძიებაა შესაძლებელი. მოგეხსენებათ, რომ თემა საკმაოდ ფართოა და მასშტაბურია და შესაბამისად მასალაც დიდი რაოდენობითაა შექმნილი.

შევეცადე მოკლედ წარმომეჩინა და მესაუბრა ყველა საკითხზე, თუმცა გარიგებების თემა პრაქტიკულად ამოუწურავია თავისი ხასიათიდან გამომდინარე. თემა საკმაოდ მრავალფეროვანი და ვრცელია, ამიტომ შევეცადე მესარგებლა და ძირითადი საყრდენი ყოფილიყო სამოქალაქო სამართლის კომენტარები.

გარდა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი კომენტარებისა, თემის მოსამზადებლად გამოვიყენე ი. დოლიძის „ქართული სამართლის ძეგლები“, გარიგების ცნების ისტორიული საწყისების ასაღწერად.

თემის ძირითად ნაწილში გამოყენებულია ლ. ჭანტურიას „შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. ასევე, ბ. ზოიძის კომენტარები.

ნაშრომში გამოყენებულია დ. კერესელიძის „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“. ნების ნაკლის შესახებ, მოვიშველიე ს. კიკოშვილის „ნების ნაკლი ქართულ სამართალში“.

გარიგების სახეების დასახასიათებლად, გამოვიყენე გ. თუმანიშვილის „გარიგებები“.

რაც შეეხება უცხოურ ლიტერატურას, ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია გერმანული ლიტერატურა, ყველაზე აქტიურად კი Medicus, BGB AT.

რა თქმა უნდა ნაშრომში გამოყენებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები აღნიშნული თემის ირგვლივ.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომში გამოყენებულია სხვა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომები და საზღვარგარეთის ლიტერატურის მიმოხილვაც თემასთან დაკავშირებით; თუმცა ზემოთ ჩამოვლილი კონკრეტულ ლიტერატურათა ჯგუფი შედარებით ინტენსიურად არის გამოყენებული თემაში.

თავი II. გარიგების ცნება

2.1. ტერმინი „გარიგების“ წარმოშობის ისტორია, ცნება და მნიშვნელობა

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რას ნიშნავს ტერმინი „გარიგება“ და საიდან წარმოიშვა იგი ქართულ სამართალში.

ქართულ ენაში სიტყვის „გარიგება“ ეტიმოლოგია ამ დროისთვის საფუძვლიანად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები (ცივილისტები) მიიჩნევენ, რომ სიტყვა-ტერმინის „გარიგება“ დამკვიდრება ქართულ ზეპირმეტყველებაში იმ შინაარსობრივი დატვირთვით, როგორც იგი დღეს გამოიყენება, XVIII საუკუნეში მოხდა.¹

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის იგი გამოიყენებოდა არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაში, არამედ სამართლებრივი შინაარსის მქონე სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტში (სამართლის ძეგლში) ფაქტობრივად იმავე შინაარსობრივი დატვირთვით.²

უცნაურია, რომ თავად სიტყვაზე „გარიგება“ არაფერს ამბობს სულხან-საბა ორბელიანი თავის სიტყვის კონაში.³ ასევე არაფერს ამბობს სიტყვებზე „გარიგებულ“ „განარიგა“. ამასთან, სიტყვა „გარიგება“ ქართულ ენაში გამოიყენებოდა შეთანხმების მნიშვნელობით. გარიგების, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ტერმინის შინაარსი დაკავშირებულია ნების გამოვლენასთან. ნებისა და მისი გამოვლენის სიტყვა-ტერმინებს კარგად იცნობს XVI-XVIII საუკუნეებში როგორც ქართული ლიტერატურული ისე ნორმატიული ენა.⁴

„გარიგება“ გერმანული წარმოშობის სიტყვაა. მას ორიგინალ ენაზე ეწოდება „სამართლებრივი საქმე“ — Rechtsgeschäft. იგი პირველად მოხსენიებული იყო 1794 წელს წიგნში „მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა“ „გარიგების“ ცნების წარმოშობა დაკავშირებულია გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორის, გეორგ არნოლდ ჰაიზელის სახელთან. 1807 წელს გამოცემული შრომის პირველ წიგნში, რომელსაც „ზოგადი მოძღვრებები“ ეწოდება, მან სამოქალაქო სისტემის დახასიათებისას მოიხსენია

¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (2008). Civil ენციკლოპედიური ლექსიკონიდან: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14958>

² ი. დოლიძე 1977, ქართული სამართლის ძეგლები(ტომი მე-6),თბილისი,გამომცემლობა „მეცნიერება“,გვ. 116,119.

³ ს.-ს ორბელიანი. (1991). ლექსიკონი ქართული (ტომი I). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. გვ.588

⁴ გ.თუმანიშვილი , გარიგებები, თბ, 2012, გვ, 2.

„მოქმედებანი“, რომელიც ორ პარაგრაფად იყოფა: „ნების გამოვლენა“ და „განსაკუთრებით გარიგებანი“. ეს სისტემა აიტაცა XIX საუკუნის პანდექტურმა სამართალმა. მოძღვრება გარიგების შესახებ საკანონმდებლო განმტკიცებას პირველად პრუსიულ სამართალში პოულობს. 1794 წლის პრუსიული სამართლის წიგნი იყენებს ტერმინს არა „გარიგებას“, არამედ „ნების გამოვლენას“. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გარიგების ცნება ცნობილი იყო, მაგრამ პირველი კოდიფიკაციები — საფრანგეთისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსები მას არ იცნობენ.⁵

გარიგების პირველი ლეგალური გვხვდება საქსონიის 1863 წლის სამოქალაქო კოდექსში. მართალია, 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გარიგების ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა, მაგრამ ზოგადი ნაწილის ერთი თავი მთლიანად მას აქვს დათმობილი. არც ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობდა გარიგების ცნებას, მაგრამ 1916 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მას დაემატა ახალი თავი სახელწოდებით „ხელშეკრულებებისა და ზოგადი გარიგებების შესახებ“. ანგლოამერიკულ სამართალში გარიგებების შესახებ დებულებები მოცემულია სამართალში „Law of Contract“. მნიშვნელოვანი იყო „ზოგადი ნაწილისა“ და „გარიგებების“ ადგილი და როლი საბჭოთა რუსეთის 1922 წლის სამოქალაქო კოდექსში, რომლის გავლენით საქართველოს სსრ-მაც მიიღო სამოქალაქო კოდექსი.⁶

კერძო სამართლის სუბიექტები (ფიზიკური და იურიდიული პირები) თავიანთ ქონებრივ, პირად თუ სხვა სახის ინტერესებს იკმაყოფილებენ და ახორციელებენ მოქმედების ან უმოქმედობის გზით. ამგვარ მოქმედებებს ან უმოქმედობებს ეწოდება გარიგება, თუ მათ მოჰყვება სამართლებრივი შედეგი - ანუ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი ადგენს გარიგების ცნებას. რომლის მიხედვითაც, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.⁸

გარიგება სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს.⁹ იგი კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია.

⁵ ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 308

⁶ ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 309-310

⁷ ზ. ჭეჭელაშვილი. 2008, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „ბონაკაუზა“ გვ. 36

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, www.matsne.ge

⁹ ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 1994, გვ. 149; ზოიძე სკ-ის კომენტარი, წიგნი 1, 1999 მუხლი 50, გვ. 165-166.

გარიგება, როგორც კერძო სამართლის უზოგადესი ცნება, გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა ნაწილებში, მაგალითად, საკორპორაციო ან საავტორო სამართალში. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმები გარიგებათა შესახებ ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგალითად, ქორწინება, ანდერძი, საერთო კრების გადაწყვეტილებები და ა.შ.¹⁰

2.2.გარიგება, როგორც ნების გამოვლენა

ნების გამოვლენა პირველ რიგში მის ფორმირებასთან არის დაკავშირებული, მისი ფორმირება ინდივიდის სუბიექტურ წარმოდგენებში ხდება და სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილისას მის სამართლებრივად სწორი ფორმით გამოვლენაში გამოიხატება. „ნება შინაგანი ფსიქიკური მომენტია, რომელიც გარეშე პირთათვის მიუწვდომელია, ამიტომ საჭიროა მისი გამოვლენა, გამოაშკარავება ანუ განსაზღვრულ ფორმებში ნებისყოფის გამოხატვა, რათა ნების გამოვლენის ადრესატმა მისი აღქმა შეძლოს.“¹¹

ადამიანი, როგორც გონითი არსება, უფლებამოსილია ჰქონდეს თავისუფლება, რადგან იგი თავისთავად მოიცავს თავისუფალ გონს.²² სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები თავისთავად უკავშირდება ინდივიდის თავისუფალ გონს, რომელსაც სამართალი თავისუფლად ქცევის უფლებას ანიჭებს. მისი უპირველესი განსაზღვრებაა პიროვნული „მე“, ხოლო აზროვნება უპირველესია რითაც ადამიანი და ბუნება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ფილოსოფიას გონი ესმის, როგორც მარადისი

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ.ჭანტურია, ბოლო დამუშავება.24 დეკემბერი, 2017 წელი. www.civilcode.ge

¹¹ ქ. ქოჩაშვილი, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 21.

გარდაუვალი განვითარება და გონის მთელი ევოლუცია მისი თვითამაღლებაა
ჭეშმარიტებამდე.¹²

როგორც უკვე აღვნიშნეთ, “გარიგების” ცნება წესრიგდება სსკ-ის 50-ე მუხლით.
ნების გამოვლენა გარიგების დეფინიციის აუცილებელი ელემენტია.¹³ რაც იმას ნიშნავს, რომ
ნების გამოვლენა არის კანონით დადგენილი ფორმით სამართლებრივი შედეგის დადგომის
სურვილის გამოხატვა. ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირებისას **ნების
თეორიას** ეყრდნობა.¹⁴

“ნება” შინაგანი, სუბიექტური კომპონენტია. იგი მიმართულია სამართლებრივი შედეგის
დადგომაზე. “გამოვლენა” ამ ნების ობიექტური გაცხადებაა იმ სახით, რომ გასაგები, აღქმადი
იყოს ადრესატის მიერ.

თუ ნება არ არის მიმართული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე, მაშინ არ არსებობს
“ნების გამოვლენის” სუბიექტური კომპონენტი. შესაბამისად, ასეთი ნების ობიექტურად
შეცნობადად გაცხადების მიუხედავად, შეუძლებელია არსებობდეს “ნების გამოვლენა”.¹⁵

ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნულ საკითხს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი
არეგულირებს. იგი აწესრიგებს მხოლოდ იმ ნების გამოვლინებებს, რომელთა
ნამდვილობისათვის აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. სათაურის
მიუხედავად, იგი გამოიყენება როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ნების
გამოვლინებების მიმართ, სადაც ფიგურირებს მიღებადსავალდებულო ნების გამოვლენა.¹⁶
თუმცა, იგი მნიშვნელოვანია ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაშიც, მაგალითად, ანდერძის
დაწერისას ერთი პირის ნების გამოვლენა საკმარისია მისი ნამდვილობისათვის, იგი
ნამდვილია მისი შედგენის მომენტიდან, მიუხედავად მემკვიდრეების მიერ ანდერძის
მიღებისა. თუმცა სამართლებრივი შედეგის გამოწვევის მიუხედავად, შედეგის
დადგომისთვის სავალდებულოა გარიგების მეორე ნაწილის მიერ ნების გამოვლენის
მიღება.¹⁷

¹² ქ. ქოჩაშვილი, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება),
სამართლის ჟურნალი №2/2016, 17.

¹³ Koehler, BGB Allgemeiner Teil, 36, Aufl, 2012. 3 RN.5

¹⁴ ბ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი 1, 1999, მუხ. 50, გვ. 166

¹⁵ ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები (ანალიზი და დასკვნა) - www.newvision.ge

¹⁶ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcoge.ge, მუხ. 51, 1-ლი ველი

¹⁷ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcoge.ge, მუხ. 51, მე-2 ველი.

ნების ფორმირების ანალიზისას იმიჯნება: “მოქმედების ნება”, “გამოვლენის ნება” და “სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება”.¹⁸

მოქმედების ნება არ არსებობს, მაგალითად, რეფლექსური მოძრაობის, ძილში საუბრის, ჰიპნოზურ მდგომარეობაში მოქმედების ან “აბსოლუტური ფიზიკური ზემოქმედების” შემთხვევაში. ამასთან, აბსოლუტური ფიზიკური ზემოქმედებისას პირის მოქმედების ნების ფორმირება ვერ მოხდება, ვინაიდან რეალურად მის ნაცვლად სხვა პირი მოქმედებს, მაგალითად, როდესაც ინდივიდს უშუალოდ ამ მოქმედებაზე მიმართული ფიზიკური ზემოქმედებით ხელს აწერინებენ ან თავს აქნევინებენ.¹⁹

შესაბამისად, სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ **ნამდვილი ნების** გამოვლენა, რაც გულისხმობს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან.²⁰

ნების გამოვლენა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებების მიხედვით, არის გამოხატვა ნებისა, რომელიც უშუალოდ მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ. იგი ავლენს სამართლებრივი შედეგის დადგომის ნებას, ანუ ნებას, მიმართულს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დამყარების, შინაარსობრივი შეცვლის ან შეწყვეტისკენ.²¹

ნამდვილია ნების გამოვლენა, თუ დაცულია მისი გამოხატვის **სამართლებრივი წინაპირობები-მატერიალური თუ ფორმალური**. მატერიალურ წინაპირობებს განეკუთვნება ნების გამომვლენი პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი,ჯანმრთელობა),ხოლო ფორმალურს-ნების გამოვლენის კანონით დადგენილი ფორმის დაცვა (ნების გამოვლენა წერილობით,ზეპირად,ნოტარიუსის მონაწილეობით,კანონის შესაბამისად და ა.შ).²²

ასაკსა და ჯანმრთელობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია დიფერენციაცია. ორივე შემთხვევაში, კანონმდებელს პრაქტიკულად აინტერესებს ერთი და იგივე, სახელდობრ, რამდენად შეუძლია პირს ამა თუ იმ ასაკში ან თუნდაც სრულწლოვანებისას, რეალურად გამოავლინოს ის ნება, რომლის გამოვლენაც მას სურს; რამდენად შეუძლია მას, სწორად აღიქვას სინამდვილე და რამდენად აცნობიერებს იგი გარიგებით შეძენილი უფლებებისა და

¹⁸ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 237 და შემდგომში.

¹⁹ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 239.

²⁰ საქ.უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის#ას-1435-1450-2011 განჩინება

²¹ დ. კერესელიძე,(2009). კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.გვ. 234

²² ჭანტურია,სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი,2011,გვ.292

ნაკისრი ვალდებულებების შინაარსსა და მნიშვნელობას. სწორედ ამის გამო უკავშირებს კანონმდებელი გარიგების ნამდვილობას პირის ქმედუნარიანობის საკითხს. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია პირს თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ნების გამოვლენის თვისებას, იყოს - ასე ვთქვათ - ვარგისი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისთვის, კანონში ნების ნამდვილობად იწოდება. შეიძლება ითქვას, რომ ნების გამოვლენის ნამდვილობა ნიშნავს მის „ვარგისიანობას“-ს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისთვის.²³

სამართლებრივი შედეგის მისაღწევად ზოგჯერ აუცილებელი ხდება მესამე პირების ნების გამოვლენაც. მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, თუკი შემძენი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ამ თვალსაზრისით რეესტრში რეგისტრაცია არის რეალაქტი.²⁴

სამოქალაქო სამართალში ისეთ ვითარებას, როცა „გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება კი ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, ნების ნაკლი ეწოდება“.²⁵ არსებობს ნების გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ნების ნაკლი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარიგება გარკვეულწილად გაიგივებულია ნების გამოვლენასთან. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების ნამდვილობა სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია, მხარის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივად ვარგისად მიჩნევა და მისი შესაბამისობა ნამდვილობის წინაპირობებთან. ინდივიდები შინაგანი, სუბიექტური ნების გაცხადებით აფიქსირებენ იმ მიზანს რომელის მიღწევაც სურთ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არის შემთხვევები, როდესაც პირის მიერ

²³ ლ. ჭანტურია, ვ. (1997). შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 313

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია, ბოლო დამუშავება. 24 დეკემბერი, 2917 წელი. www.civilcode.ge

²⁵ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 331;

იხ. ციტატა: ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2/2011, 193

გაცხადებული ნება არ ემთხვევა მის შინაგან ნებას და მისი გამოვლენა სახვადასხვა გარემოებებითაა განპირობებული.²⁶

ნების თეორიის თანახმად, პიროვნების პერსონალური ავტონომია ხელშეკრულების მხოლოდ ძალასთან არის დაკავშირებული. გარიგების სავალდებულოობა მხარეთა ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებისა და პირთა ნების თავისუფალი ნების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს.²⁷

ნაკლოვანი ნების საფუძველზე დადებული გარიგება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით პიროვნებისათვის მინიჭებულ თავისუფალი განვითარების უფლებას. ნების ნაკლის განხილვისას, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს მხარის თავისუფალი განვითარების უფლებას, ნების მიმღების კანონიერ ნდობასა და მხარის პასუხისმგებლობის მომენტს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ნების ნაკლის სხვადასხვა ფორმა სხვადასხვაგვარი სამართლებრივი დაცვის ჩარჩოებში ექცევა.²⁸

სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის სურვილი ყოველ ინდივიდში თავისთავად ყალიბდება. შესაბამისად, დაუშვებელია მასზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც საბოლოო ჯამში ნაკლულ ნებადღე მიგვიყვანს. პირს უნდა გააჩნდეს მოქმედების ნება, ანუ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მისი სურვილი და შინაგანად სურდეს სამართლებრივი შედეგის დადგომა. ამასთან ერთად, ნების გამოვლენისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილი უზრუნველყოფს გარიგების ნამდვილობას. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი შედეგის მიმართ იგი არ გულისხმობს ზედმიწევნით ზუსტად ჩამოყალიბებულ გარიგების ნებას. საკმარისია გარკვეულ გარემოებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაც, რომელიც გამოვლენის შემდეგ აღქმადი იქნება მიმღებისათვის.²⁹

ნების ნაკლის არსებობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ნების გამოვლენისა და პირის შინაგან ნებას შორის ურთიერთმიმართებაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლიანი ნება სწორედ მაშინაა სახეზე, როცა ისინი ერთმანეთს არ შეესაბამება. ნებისა და მისი

²⁶ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 360.

²⁷ Markesinis/Unbertat/Johnston, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlanddm oregon, 2006, 263 თ. ლაკერბაია, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016, 167.

²⁸ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

²⁹ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 6.

გამოვლენის თანხვედრა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გარიგების ნამდვილობისათვის.³⁰ განასხვავებენ ნების ნაკლოვანად ფორმირებას და მის ნაკლულ გამოვლენას. ნების ფორმირება პირის თავისუფალ თვითგამორკვევასთან არის დაკავშირებული³¹ და დაუშვებელია მასზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა. იგი შინაგანი ნების არასწორი ფორმირებაა, რაც გარკვეული გარემოფაქტორებით არის გამოწვეული.³² მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს შეცდომა გარიგების შინაარსში.

რაც შეეხება ნების ნაკლულ გამოვლენას, იგი ნების გამოვლენისას დაშვებული ხარვეზიდან გამომდინარეობს, სადაც სწორადაა ფორმირებული მისი შინაგანი ნება, თუმცა პირი მას არასწორად გამოხატავს. შესაბამისად, მისი შინაგანი და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა.³³

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნების ნაკლი შეიძლება დაიყოს გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ ნაკლად. გაცნობიერებული ნაკლის შემთხვევაა, როცა გარიგების მონაწილე პირი აცნობიერებს არასასურველი ნების გამოვლენის რეალობას და გაცნობიერებულადვე სჩადის ამას. მაგალითად, თვალთმაქცური გარიგება, როცა პირს გააზრებული აქვს, რომ მისი ნების გამოვლენა ნაკლიანია და გარიგების შინაარსთან შეუსაბამოა. ნების ნაკლოვანი გამოვლენისას პირი ერთ შემთხვევაში აცნობიერებს იმას, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება არანამდვილია, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი უბრალოდ ვერ აღიქვამს მის ნამდვილ ნებასა და გამოვლენას შორის განსხვავებას.³⁴

ნების გაუცნობიერებელი ნაკლი პირის ნების გამოვლენის დროს გამოიხატება, როცა პირი ვერ აცნობიერებს ნების გამოვლენისას დაშვებულ შეცდომას. ნაკლოვანი ნებაა სახეზე, მაშინ, როცა მის ფორმირებაში პირისგან დამოუკიდებლად გარკვეული ხარვეზი წარმოჩნდება, მაგალითად, სამართლით გათვალისწინებული შეცდომები, რომელთა გავლენასაც განიცდის პირი ნების ფორმირების დროს.

³⁰ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 7.

³¹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011, 395.

³² ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

³³ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

³⁴ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, Munchen, 2006, 201;

ნების გამოვლენის მოტივს, როგორც წესი, დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუმცა იგი მნიშვნელოვანი ხდება გარკვეული ზემოქმედების საფუძველზე გარიგების დადების შემთხვევაში. გარეგანი ზემოქმედებით დადებული გარიგებები ყველაზე მეტად ზღუდავს პირის თავისუფალი განვითარებისა და კერძო ავტონომიის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედებას მცდარი ინფორმაცია ან გამოუვალი მდგომარეობა უდევს საფუძვლად.³⁵ რომელიც, ფაქტობრივად ზემოქმედებს პირის სუბიექტური ნების ჩამოყალიბებაზე და მის თავისუფალ გონზე, რომლის სუბსტანცია სწორედ თავისუფლებაა.³⁶ მოცემულ შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, როცა გარკვეული გარეგანი ზემოქმედებანი თრგუნავენ პირის შინაგან ნებას საქმე გვაქვს ნების თავისუფლების ნაკლთან.³⁷ თავისუფალი ნების ხარვეზებს სწორედ ისეთ შემთხვევაში ვხვდებით, როცა სახეზეა მოტყუება, თაღლითობა ან იძულება.³⁸

2.3. ნების გამოვლენის მიზანი

ყოველგვარი ნების გამოვლენა არ წარმოადგენს გარიგებას. ნების გამოვლენის მიზანი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის დადგომა. 50-ე მუხლის მიხედვით ეს სამართლებრივი შედეგი გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაში, შეცვლასა და შეწყვეტაში. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზანია მყიდველის მიერ საკუთრების შექმნა ნასყიდობის საგანზე.

³⁵ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 17.

³⁶ ქ. ქოჩაშვილი, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016. 17.

³⁷ ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 17.

³⁸ MacMillan, Mistakes in Contract Law, Oxford and Portland, Oregon, 2010, 104.

სირთულეებთან არის დაკავშირებული გარიგების მსგავსი ნების გამოვლენის გამიჯვნა გარიგებებისაგან, რომლებიც გარეგნულად ჰგვანან ნების გამოვლენას, მაგრამ არ წარმოადგენენ გარიგებას, რადგან უშუალოდ არ იწვევენ სამართლებრივი შედეგის დადგომას, მაგალითად, დამატებითი ვადის დანიშვნა (394 II), შეტყობინება (374), გაფრთხილება (379) და ა.შ. თუმცა მათი ნამდვილობის მიმართ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გარიგების მოძწესრიგებელი ნორმები გამოიყენებოდეს.

ნების გამოვლენას 50-ე მუხლის მიხედვით არ წარმოადგენენ რეალური აქტები, ე.ი. მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ან გარიგების შესასრულებლად, ან გარიგებისაგან დამოუკიდებლად იწვევენ სამართლებრივ შედეგს. პირველის მაგალითია, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთი გადაცემა მფლობელობაში, ხოლო მეორის — 194-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების წარმოშობა მოძრავი ნივთების შერწყმის შედეგად.

გარიგებას არ წარმოადგენს ასევე ნების გამოვლენა, რომელიც ზნეობრივ ვალდებულებებს წარმოშობს, მაგალითად, აეროპორტში მანქანით მიყვანის ან სასატუმროს ხარჯების გადახდის შეთავაზება. რელევანტურია იმის გარკვევა, თუ რა სამართლებრივ შედეგს იწვევს ზნეობრივი ვალდებულების დარღვევა, მაგალითად, აეროპორტში არწყვანა და თვითმფრინავის ბილეთების გაუქმებითა და არშემდგარი შვებულებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება.

ზემოთ განხილულ გამიჯვნათა სამართლებრივი მნიშვნელობა გამოიხატება ორ გარემოებაში: პირველი, წარმოშობს თუ არა ნების გამოვლენა სამართლებრივ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც შეიძლება მოითხოვოს ნების გამოვლენის ადრესატმა; მეორე, გამოიყენება თუ არა გარიგების ნამდვილობის წესები ამ ურთიერთობის მიმართ და რა მოცულობით.³⁹

³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ.ჭანტურია, ბოლო დამუშავება.24 დეკემბერი, 2017 წელი. www.civilcode.ge

თავი III. გარიგების სახეები

3.1. ცალმხრივი,ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები

როგორც აღინიშნა, გარიგებები შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი.

გარიგების სახეებზე მსჯელობისას უწინარესად უნდა განვასხვაოთ გარიგებები იმის მიხედვით, რამდენი პირის ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ გარიგების ნამდვილობა. ზუსტად ამ ნიშნის მიხედვით, გამოიყოფა ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები.

ა. ცალმხრივი გარიგება

ცალმხრივია ისეთი გარიგებანი, რომელთა ნამდვილობისთვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. ამ ნების გამოვლენით მიიღწევა ის სამართლებრივი შედეგი, რომლის წარმოშობისკენ, შეცვლისკენ ან შეწყვეტისკენ არის მიმართული პირის ნების გამოვლენა. ამგვარ გარიგებებს განეკუთვნება მაგალითად, ანდერძი. მისი ნამდვილობისთვის საკმარისია მონადერძის ნების გამოვლენა.⁴⁰

როგორც პროფესორი ვლადიმერ ჭანტურია სამართლიანად აღნიშნავს, (ჭანტურია 2011) ცალმხრივი გარიგებები თავის მხრივ იყოფა სამ დამოუკიდებელ ჯგუფად: პირველს განეკუთვნება გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია თავად ნების გამომვლენ პირთან (მაგალითად, უფლების მიტოვება, სამკვიდროს მიღება, არაკომერციული იურიდიული პირის დაფუძნებისთვის შესაბამისი განცხადების შედგენა). მაგ: ქონების მიტოვების დროს, ქონების მესაკუთრე ნებას ავლენს, თავისი საკუთრების უფლების გაუქმების მიზნით კონკრეტულ ქონებაზე, რაც წარმოშობს სამართლებრივ შედეგს- მისი საკუთრების უფლება ამ

⁴⁰ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, თბ, 2012, გვ.17

ქონებაზე უქმდება, ამავდროულად აღნიშნული გარიგება სხვა პირების უფლება-მოვალეობებს არ ეხება.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომლებიც მართალია, იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგრამ უფლებრივ, ქონებრივ ან სხვაგვარ უპირატესობას ანიჭებენ მესამე პირებს. ამგვარ გარიგებებს იურიდიულ ლიტერატურაში მიღებასავალდებულო გარიგებებს უწოდებენ. ამგვარი გარიგების კლასიკური მაგალითია ანდერძი და მინდობილობა. ორივე შემთხვევაში, მესამე პირი - მემკვიდრე ან რწმუნებული - იღებს უფლებრივ უპირატესობას, მიიღოს სამკვიდრო ან განახორციელოს ესა თუ ის ქმედება. მაგ: ანდერძით მემკვიდრე იღებს სამართლებრივ უპირატესობას ერთი პირის ნების გამოვლენის დროს, ამ შემთხვევაში მამკვიდრებელის. მაგ: მინდობილობა, რომელიც ერთი პირის ნების გამოვლენის საფუძველზე ანიჭებს სხვა პირს კონკრეტულ უფლებებს, ისე, რომ ამ უკანასკნელის ნების გამოვლენა არ არის საჭირო.

ცალმხრივი გარიგებების მესამე ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომლებიც მესამე პირებს ეხება, მაგრამ შეიძლება სამართლებრივი ზიანი მოუტანოს მათ. სწორედ ამის გამო ამგვარი გარიგების განხორციელების უფლება პირს სპეციალურად კანონით ან წინასწარ დადებული ხელშეკრულებით მიენიჭება. მაგალითად, ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა, შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა (ყველა ჩამოთვლილი მაგალითი, თავის მხრივ, ცალმხრივ გარიგებებს წარმოადგენს). მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ ცალმხრივი გარიგებების ერთი კატეგორია ეხება ნების გამომვლენ პირს, ხოლო მეორე კატეგორია - მესამე პირებს, მიუხედავად იმისა, სარგებლის მომტანია ეს მათთვის თუ არა.

ყველა ცალმხრივი გარიგება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ეხება მესამე პირთა ინტერესებს, მოითხოვს ამ უკანასკნელებისგან, რომ მათ მიიღონ ნების გამოვლენა. ეს ეხება როგორც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, ასევე სხვა შესაძლებლობას (მაგალითად, სსკ-ს 515-ე მუხლის მიხედვით, „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, იმავე პირობებში, გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს“ (გაყიდვის ოფცია)), როგორც არის უპირატესი შესყიდვის უფლება და სხვა.

მიღებასავალდებულო გარიგება - ცალმხრივი გარიგებაა და წარმოადგენს ერთი პირის ნების გამოვლენას, თუმცა, იმისთვის, რათა მან შეიძინოს სამართლებრივი ძალა, იგი სხვა

პირს უნდა მიუვიდეს, სხვა პირმა მის შესახებ უნდა შეიტყოს. ამრიგად, ცალმხრივ გარიგებებში ყველა ნების გამოვლენა, რომელიც ეხება მესამე პირებს, ნამდვილობისთვის მოითხოვს ნების გამოვლენის მიღებას ამ პირების მიერ. ზემოაღნიშნული წესი ემსახურება ნების მიმღების გარკვეულ დაცვას, რაც გულისხმობს ნების მიმღებისთვის კანონისმიერი საშუალების მიცემას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ჩაითვლება ნამდვილად იმ მომენტიდან, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი სხვადასხვაგვარად წყვეტს ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხს იმ შემთხვევებში, თუ ერთი მხრივ, ნების გამოვლენა მიმართულია ნების გამომვლენ პირთან თანმყოფი პირის მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში, მასთან არათანმყოფი პირ(ებ)ის მიმართ.⁴¹

ბ. ორმხრივი გარიგება

ორმხრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი შინაარსობრივად ერთმანეთის თანამთხვევადი ნების გამოვლენა. ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება. ამ გაგებით ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა.⁴²

ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი თანამთხვევადი ნების გამოვლენის — ოფერტისა და აქცეპტის — არსებობა. ოფერტიც (წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ — შეთავაზება) და აქცეპტიც (ამ წინადადების მიღება), ორივე წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ ცალ-ცალკე არ იწვევს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამიტომ არც ოფერტი და არც აქცეპტი ცალმხრივ გარიგებებად არ მიიჩნევა.⁴³ ოფერტისა და აქცეპტის თანამთხვევადობა — კონსენსუსი⁴⁴ — უზრუნველყოფს სამართლებრივი შედეგის დადგომას. თუ მათ შორის არსებობს განსხვავება, ხელშეკრულება არ დაიდება. მაგალითად, მყიდველი

⁴¹ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, თბ, 2012, გვ.19

⁴² Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 203.

⁴³ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 303.

⁴⁴ Kötz/Flessner, Europäisches Vertragsrecht, Bd. 1, 1996, S. 23-26.

და გამყიდველი შეთანხმდნენ ნასყიდობის ყველა პირობაზე, გარდა ფასისა. ამის გამო ხელშეკრულება ჯერ არ ითვლება დადებულიად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა, თავის მხრივ, ხელშეკრულება შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ცალმხრივია ხელშეკრულება, როცა ის მხოლოდ ერთ მხარეს აკისრებს მოვალეობას ან ანიჭებს უფლებას, მაგალითად, ჩუქება. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ცალმხრივობას არა ნების გამოვლენის რაოდენობა განსაზღვრავს, არამედ ხელშეკრულების მხარეებს შორის უფლებებისა და მოვალეობების განაწილება. მაგალითად, თუ ხელშეკრულების მხარეებს მხოლოდ უფლებები აქვთ ან მხოლოდ მოვალეობები, საქმე გვაქვს ცალმხრივ ხელშეკრულებასთან.

ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ როგორც უფლებები, ისე მოვალეობებიც, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში.

გ. მრავალმხრივი გარიგება

მრავალმხრივი გარიგების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ.⁴⁵ გადაწყვეტილებათა მიღების პირობები და პროცედურა ჩვეულებრივ კანონით განისაზღვრება, მაგალითად, აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე. არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებული იყოს კონსენსუსითაც. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების ნაირსახეობას.⁴⁶

გადაწყვეტილებების, როგორც მრავალმხრივი გარიგებების, თავისებურება შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ ისინი შეიძლება მხოჭავი და სავალდებულო გახდეს იმ პირთათვისაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგალითად, საზოგადოების წესდება იმ პარტნიორებისათვის, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ

⁴⁵ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 302.

⁴⁶ საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წელის 22 ივლისის # ას-598-569-2013 გადაწყვეტილება

საზოგადოების პარტნიორები, ანდა საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღების, მაგალითად, კენჭისყრაში მონაწილეთა უმცირესობა.⁴⁷

3.2. მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები

მავალდებულებელია გარიგება, რომლითაც პირი (მოვალე) კისრულობს რაიმე მოქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას სხვა პირის (კრედიტორის) წინაშე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე (477 I).⁴⁸

მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი (მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირება) ან ორმხრივი (მაგალითად, ნასყიდობა, იჯარა, გადაყიდვა და ა.შ.).

ვალდებულებით სამართალში არსებული ყველა ხელშეკრულება არ წარმოადგენს მავალდებულებელ გარიგებას, მაგალითად, ვალის პატიება (448-451).⁴⁹

განკარგვითია გარიგება, რომლითაც უფლებამოსილი პირი ცვლის უკვე არსებულ უფლებას იმით, რომ უარს ამბობს ამ უფლებაზე, მაგალითად, უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ უარის თქმა საკუთრებაზე (184). განკარგვა გულისხმობს უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას.⁵⁰ ნივთის განკარგვაც იურიდიულად ნიშნავს ამ ნივთზე უფლების, მაგალითად, საკუთრების, განკარგვას.⁵¹

მავალდებულებელი გარიგებებისაგან განსხვავებით, განკარგვით გარიგებებს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: პირველი, განკარგვა შეიძლება კონკრეტული

⁴⁷ Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 205.

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ.ჭანტურია, ბოლო დამუშავება.24 დეკემბერი, 2917 წელი. www.civilcode.ge

⁴⁹ შდრ. გერმანულ სამართალში: Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 207.

⁵⁰ Larenz/Wolf, AT des bürg. Rechts, 9. Aufl., 2004, § 23 IV 1 Rn. 35.

⁵¹ Tuhr, AT des bürg. Rechts, 1957, Bd. 2/1, S. 242.

საგნის ან უფლების (განსაზღვრულობის პრინციპი) და მეორე, განმკარგველი პირი უნდა იყოს უფლებამოსილი პირი, ე.ი. მას უნდა ჰქონდეს განკარგვის უფლებამოსილება.⁵² არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ბათილია (102). სანივთო განკარგვების მიმართ გამოიყენება დამატებით საჯაროობის პრინციპი,⁵³ მაგალითად, მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ ან რეესტრის ჩანაწერი მიიჩნევა სწორად და ა.შ.

3.3. კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები

კაუზალურია გარიგება, თუკი მისგან გამომდინარეობს სამართლებრივი საფუძველი, ე.წ. causa და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ საფუძვლის ნამდვილობაზე. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია მისი სამართლებრივი საფუძვლის — ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა და ა.შ. მითითება. თუ ეს საფუძველი ბათილია, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, მაშინ გარიგება მთლიანად ბათილია და შემძენი მესაკუთრე ვერ გახდება.⁵⁴

სამართლებრივი საფუძვლის მნიშვნელობის მაგალითია 56 I მუხლით გათვალისწინებული მოჩვენებითი გარიგება, რომელიც გარიგებას ბათილად აღიარებს მხოლოდ იმის გამო, რომ სამართლებრივი საფუძველი არ არის სწორად მითითებული, მაგალითად, მითითებულია ჩუქება, სინამდვილეში კი ნასყიდობაა.

აბსტრაქტული გარიგების ნამდვილობისათვის გარიგების სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობას არ ანიჭებს და გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზე. მაგალითად, 925 I მუხლის თანახმად, საორდერო ფასიანი ქაღალდის (მაგალითად, ჩეკის) ჩაბარების სანაცვლოდ გადახდის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას. ასევე, მოთხოვნის დათმობისას

⁵² Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 209-210.

⁵³ Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 209-211.

⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ.ჭანტურია, ბოლო დამუშავება.24 დეკემბერი, 2917 წელი. www.civilcode.ge

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საფუძვლითა და მიზნით ხდება მოთხოვნის დათმობა, ე.ი. მას საფუძვლად შეიძლება ედოს ჩუქება, ნასყიდობა, გაცვლა და ა.შ.

აბსტრაქტულ გარიგებებზე ჩვეულებრივ მიიჩნევა განკარგვები, თუმცა აბსტრაქტული შეიძლება იყოს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებებიც, მაგალითად, ვალის არსებობის აღიარება (341) ან ზემოთ დასახელებული საორდერო ფასიანი ქაღალდების გამოყენება.⁵⁵

აბსტრაქტული გარიგება არ არის აბსტრაქციის პრინციპის იდენტური. აბსტრაქციის პრინციპის დროს მავალდებულებელი გარიგების არსებობა სანივთო გარიგების არსებობის წინაპირობაა, თუმცა ნამდვილობის თვალსაზრისით მისგან დამოუკიდებელი. აბსტრაქტული გარიგების დროს ასეთი წინაპირობის არსებობა კაუზალური გარიგების სახით არ მოითხოვება. მაგალითად, აბსტრაქციის პრინციპის დროს საკუთრების გადაცემისათვის მხოლოდ სანივთო გარიგების დადება არ არის საკმარისი. აუცილებელია ნასყიდობის ან სხვა კაუზალური გარიგების დადებაც. მაგრამ, თუ კაუზალური გარიგება ბათილი აღმოჩნდება, ეს ავტომატურად არ იწვევს სანივთო გარიგების ბათილობას, რომლითაც მოხდა საკუთრების გადაცემა შემდგომში.⁵⁶

3.4. სასყიდლიანი და უსასყიდლო გარიგებები

სასყიდლიანია გარიგება, რომელშიც გარიგების ერთი მონაწილის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მონაწილის საპასუხო შესრულება — ეკვივალენტი. მაგალითად, ნასყიდობისას ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მყიდველი გამყიდველს უხდის ამ საგნის საფასურს.

⁵⁵ Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 215.

⁵⁶ Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 220-241.

უსასყიდლო გარიგების დროს გარიგების ერთი მონაწილე კისრულობს ვალდებულების შესრულებას ისე, რომ ამისთვის სანაცვლოს (ეკვივალენტს) არ იღებს მეორე მხარისაგან, მაგალითად, ჩუქების დროს.⁵⁷

გარიგებების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა კრიტერიუმებითაც: ქონებრივი ან პირადი, საოჯახო-სამართლებრივი, ვალდებულებით-სამართლებრივი ან სანივთო-სამართლებრივი გარიგებები (მაგალითად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვება) და ა.შ. ამა თუ იმ ინსტიტუტის მოთავსება სანივთო სამართალში არ იწვევს მის თაობაზე დადებული გარიგების გადაქცევას სანივთო გარიგებად, მაგალითად, იპოთეკის ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივ და არა სანივთო გარიგებას, მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკა აბსოლუტური სანივთო უფლებაა.⁵⁸ სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით კორექტირებას მოითხოვს.⁵⁹

3.5. გარიგების ფორმა

იმისთვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა კანონით არ არის დაწესებული, მაშინ მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.⁶⁰

გარიგება შეილება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია მონაწილე მხარეთა ხელმოწერა; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით, გარიგება ან გარიგების ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან სხვა პირმა.⁶¹

⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია, ბოლო დამუშავება. 24 დეკემბერი, 2917 წელი. www.civilcode.ge

⁵⁸ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 61.

⁵⁹ საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის # ას-1283-1538-09 გადაწყვეტილება, სუს სამოქალაქო საქმეებზე 10/2012, გვ. 98-102.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი

გარიგების იმ ფორმის მიმართ, რომლის არჩევა გარიგების მონაწილეებს თვითონ შეუძლიათ, კანონი რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, თუმცა აუცილებელია, რომ ნება გამოხატული იყოს მისი მიმღებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით.⁶²

თუ გარიგების ფორმა კანონით ან მხარეთა შეთანხმებით არის გათვალისწინებული, ამ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ჩაითვლება ბათილად.⁶³

ნორმა 68-ე მუხლთან კავშირში ქმნის ერთიან საფუძველს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპის განსამტკიცებლად. იგი, ამასთანავე, განსაზღვრავს გარიგების ფორმის სახეებს. ნორმის პირველი ნაწილი ეხება უშუალოდ გარიგების ფორმის სახეებს („ზეპირი“ და „წერილობითი“). ნორმის მეორე ნაწილი აზუსტებს 68-ე მუხლის დანაწესს, კერძოდ, იგი განმარტავს 68-ე მუხლში მოცემულ „კანონით დადგენილ ფორმას“ და მოიაზრებს მასში წერილობით ფორმას. მეორე ნაწილი განამტკიცებს ასევე გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს – მხარეებმა თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმის სახე, ანუ ზეპირის ნაცვლად გარიგება გააფორმონ მარტივი ან რთული წერილობითი ფორმით, ან გამოიყენონ სხვა ფორმა. ნორმის მე-3 ნაწილი ეხება გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მხარის/ მხარეების მიერ მათი ნების გამოვლინების დადასტურების მექანიზმს, ანუ წერილობითი ფორმის კონსტიტუციურ ატრიბუტს – ხელმოწერას. ნორმის 31 ნაწილი მუხლს დაემატა 2015 წლის 20 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად და არეგულირებს მხარდამჭერის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერით დადასტურების სავალდებულობას. ნორმის მე-4 ნაწილი ეხება ხელმოწერის ავთენტურობიდან გამონაკლისს – მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის „აღდგენას, განმეორებას ან აღბეჭდვას“. ნორმის მე-5 ნაწილში კი დარეგულირებულია ე.წ. რთული წერილობითი ფორმა – ნოტარიუსის მიერ გარიგების დამოწმების შემთხვევა. ხელშეკრულებებისთვის ფორმას- თან დაკავშირებული სპეციალური რეგულირებები მოცემულია სკ-ის 328-ე მუხლში.⁶⁴

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 69-ე მუხლის არსებული რედაქციის პირველი და მეორე ნაწილები ჩამატებულია 2006 წლის ცვლილებების შედეგად. აქედან გამომდინარე, ნორმის თავდაპირველ რედაქციაში არ იყო მოხსენიებული ის, რომ გარიგების დადება შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, მიეკუთვნება თუ არა ზეპირობა (გარიგების ზეპირად დადება) გარიგების ფორმის სახეს. ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ზეპირი ფორმა არ უნდა განეკუთვნებოდეს კანონით განსაზღვრულ ფორმის სახეობებს, და ნების გამოვლენა

⁶² ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 348

⁶³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁶⁴ თ.დარჯანია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.ბოლო დამუშავება: 24 დეკემბერი, 2017

ზეპირად, კონკლუდენტურად თუ დუმილით უნდა ექცეოდეს ფორმის თავისუფლების ფარგლებში.⁶⁵

აღნიშნულზე შესაძლოა მეტყველებდეს ნორმის ფორმულირება – „ზეპირად ან წერილობითი ფორმით“ და არა „ზეპირი ან წერილობითი ფორმით“. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის, რომ კოდექსი რამდენიმე ადგილას იმეორებს 69-ე მუხლის ფორმულირებას „წერილობითი ფორმით ან ზეპირად“ (მაგ, 931 I ან 624). გარდა ამისა, „ზეპირობა“ ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელსაც კანონმდებელი ფორმის (და მისი სახეების) დაწესებით ისახავს მიზნად, შესაბამისად, მიზანშეწონილია ითქვას, რომ „ზეპირობა“ არ არის ფორმა, რომელსაც კანონმდებელი უწესებს რომელიმე გარიგების დადებას, იგი მხარის მიერ ფორმის განსაზღვრის თავისუფლების ფარგლებში ხვდება. მაშასადამე, 69-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმებს მიეკუთვნება „მარტივი წერილობითი ფორმა“ და „სანოტარო დამოწმება“ (იგივე რთული წერილობითი ფორმა). მეორე მოსაზრების მიხედვით, ზეპირობა მიჩნეულ უნდა იქნეს ფორმის სახედ.⁶⁶ მიუხედავად დოგმატური განსხვავებისა, აღნიშნული გამიჯვნა პრაქტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელოა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების დადება ტექნიკური საშუალებებით, მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანერებული დოკუმენტების მიმოგზავნა და ა.შ. უნდა ჩაითვალოს ზეპირად დადებულად, ვინაიდან ამ დროს ვერ სრულდება წერილობითი ფორმის წინაპირობები, კერძოდ, არ არის სახეზე ხელმოწერა. სხვა შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებას თან ერთვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.

ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ გარიგების წერილობითი ფორმით დადება შესაძლებელია მაშინ, თუ (1) კანონი ითხოვს ფორმასავალდებულოობას ან (2) მხარეები შეთანხმდნენ გარიგების წერილობითი ფორმით დადებაზე. 69 II მუხლის რეგულირება გამომდინარეობს 68-ე მუხლიდან. 69 II მუხლის ფორმულირება – „კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ – მოიაზრებს 68-ე I 1 მუხლის ფორმულირებას – „კანონით დადგენილი ფორმის დაცვა“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 68 I 1 მუხლის რეგულირება უფრო ზოგადია და კანონმდებელს შესაძლებლობას უტოვებს (წერილობითის გარდა) სავალდებულოდ დაამკვიდროს ასევე სხვა ფორმის სახეები (მაგ., ელექტრონული). 69 II მუხლის ფორმულირება – „გარიგება წერილობითი ფორმით – შეიძლება დაიდოს ... მხარეთა შეთანხმებით“ შეესაბამება 68-ე I 2 მუხლის ფორმულირებას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფორმის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (შდრ. 68 მუხლის პირველი ველი).

გარიგების წერილობითი ფორმით დადებას აქვს (1) გაფრთხილების, ანუ ნების ნაჩქარევად (დაუფიქრებლად) გამოვლენისგან დაცვის ფუნქცია; (2) სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია;

⁶⁵ დ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 289.

⁶⁶ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 339.

(3) იდენტიფიცირების და ნამდვილობის ფუნქცია; (4) დ) ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია (68 მუხლი).⁶⁷

69 II მუხლი ეხება მარტივ წერილობით ფორმას, მაშინ, როდესაც 69 V ადგენს ე.წ. რთულ წერილობითი ფორმის,⁶⁸ ამავე სანოტარო წესით ხელშეკრულების დადების წინაპირობებს. ბაზარზე გავრცელებულია ასევე ე.წ. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადება.

აღნიშნული ფორმით დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია 2008 წლის 14 მარტის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანია შესაძლებელი გახადოს სამართლებრივ ურთიერთობებში თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება, რათა დაზოგილ იქნეს მხარეთა ხარჯები და დრო. ვინაიდან ნების გამოვლენა 69-ე III მუხლის მიხედვით წერილობითი ფორმით მოითხოვს ხელმოწერის არსებობას, ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე სავალდებულო იყოს კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტის ამობეჭდვა და ხელის მოწერა. აღნიშნული კანონით აღარ არსებობს ამის საჭიროება და უფრო მეტიც, შესაძლებელია სრული სამართლებრივი ურთიერთობის ელექტრონულ ფორმატში განხორციელება (ადგილის დაზოგვის მიზნით), მისი ელექტრონულად შენახვა და შემდგომ მისი ხელახალი გადამუშავება. ელექტრონული ფორმის წერილობით ფორმასთან გათანაბრება წინაპირობად აწესებს, რომ შესაძლებელი იყოს ნების გამომვლენის იდენტურობის დადგენა, მისი ნამდვილობის გადამოწმება და ამით თავიდან იქნეს აცილებული გაყალბების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ელექტრონული დოკუმენტით ნების გამომვლენმა არა მარტო საკუთარი სახელი უნდა მიუთითოს, არამედ დოკუმენტს უნდა დაურთოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.⁶⁹

ა) კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა

მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულება გააფორმონ წერილობითი ფორმით მაშინ, როდესაც კანონი ამას პირდაპირ ითვალისწინებს. ეს დანაწესი ვრცელდება სამოქალაქო კოდექსში და ასევე მის გარეთ დარეგულირებულ გარიგებებთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სავალდებულო წერილობითი ფორმა სჭირდებათ მაგალითად, შემდეგ (როგორც ცალმხრივ, ისე ორმხრივ) გარიგებებს: 181 III, 66, 183 (უძრავ ნივთზე გარიგება), 208 (მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგნის შეძენა), 258 (რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობა), 259 (მოთხოვნებისა და ფასიანი

⁶⁷ თ. დარჯანია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ბოლო დამუშავება: 24 დეკემბერი.

⁶⁸ ბ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 69, გვ. 216.

⁶⁹ თ. ზამზახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005, გვ. 1-2; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.

ქალაქების დაგირავება), 260 (მფლობელობითი გირავნობის წარმოშობა), 282 I (მოგირავნის მიერ დამგირავებლის წერილობითი გაფრთხილების ვალდებულება), 289, 295, 302 (იპოთეკის წარმოშობა), 321 (ხელშ. ქონების გადაცემის შესახებ), 323 (უძრავი ქონების გასხვისება), 341 (ვალის აღიარება), 418 II (პირგასამტეხლოზე შეთანხმება), 426 (მოვალის გარანტია), 506 I (განვადებით ნასყიდობა), 525 III (ჩუქების შეპირება) და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის გარეთ სავალდებულო წერილობითი ფორმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: მეწარმეთა შესახებ კანონის 3 IV1 (პარტნიორთა წესდება), 43 II (წილის დათმობის ხელშეკრულება) და ა.შ.

ბ) მხარეთა შეთანხმება

იმ შემთხვევაში, თუ კანონი გარიგებისთვის არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას, მხარეებს ამ გარიგებისთვის შეუძლიათ შეთანხმონ ნებისმიერი ფორმა სურვილის მიხედვით. აქ იგულისხმება არა მარტო კანონით გათვალისწინებული ფორმის სახეები, არამედ სხვა სახეებიც (მაგ., ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული შეტყობინება ტელეფონზე და ა.შ.). შეთანხმება გარკვეული ფორმის დაცვის თაობაზე არ საჭიროებს ფორმის დაცვას, ანუ იგი ფორმისგან თავისუფალია, იგი შესაძლებელია შეთანხმდეს ასევე კონკლუდენტურადაც.⁷⁰

3.6. ბათილი გარიგებანი

კერძო სამართლის სუბიექტების კერძო ავტონომია, თავისუფლად დადონ გარიგებები, ყოველთვის შეზღუდულია. შეზღუდვა გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან, თუმცა გარიგება დაუშვებლად მიიჩნევა ასევე, თუ იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობრივ ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. კანონისგან განსხვავებით, საჯარო წესრიგი და მით უფრო ზნეობა (მორალი) არსად არ არის დაწერილი და განსაზღვრული, ამრიგად, მეტად რთულია,

⁷⁰ თ.დარჯანია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.ბოლო დამუშავება: 24 დეკემბერი.

დაადგინო, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული გარიგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია ძირითადი საფუძვლები, რომელთა არსებობისას გარიგება მიიჩნევა ბათილად.

გარიგების მიზანი ყოველთვის არის მისი მხარ(ეებ)ის მიერ გარკვეული სამართლებრივი შედეგის მიღწევა. შესაძლებელია, მხარეებს მართლაც სურდეთ ამ შედეგის დადგომა, მაგრამ მათ მიერ გამოვლენილი ნება არ იყოს ნამდვილი (გარკვეული ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო) ან ნების გამოვლენის განხორციელება ეწინააღმდეგებოდეს ან თუნდაც არ შეესაბამებოდეს ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ წესს. მაგალითად, შესაძლებელია პირს სურდეს უძრავი ქონების შექმნა, ხოლო მეორე პირს მისი გაყიდვა. ამ ორი პირის ზეპირი შეთანხმება უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ ვერ იქნება სამართლებრივად ნამდვილი, რადგან კანონით პირდაპირ დადგენილია, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება სსკ-ს 183-ე მუხლის მიხედვით აუცილებელია დაიდოს წერილობით, ხოლო შემდენზე უძრავი ნივთის საკუთრების უფლება გადავა მხოლოდ ამ უფლების საჯარო რეესტრში მასზე რეგისტრაციის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი ზოგ შემთხვევაში პირდაპირ განსაზღვრავს, რა ფორმით უნდა იყოს გამოვლენილი მხარეთა ნება იმისთვის, რათა იგი სამართლებრივად „ვარგისიანად“ ჩაითვალოს და წარმოშვას ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევისთვისაც იდება ეს გარიგება.⁷¹

ბათილ გარიგებებზე მსჯელობისას კანონმდებელი ადგენს იმ საფუძვლებს, რომლების არსებობის შემთხვევაშიც დადგება გარიგების ბათილობის საკითხი.

ბათილია გარიგება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როდესაც მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. სამოქალაქო კოდექსის ძველ რედაქციაში (1997-2012 წ.) ამ მუხლის ფორმულირებით ასევე განსაზღვრული იყო, რომ გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისთვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის გამო, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით). მოქმედ რედაქციაში ეს ფორმულირება ამოღებულია.⁷²

ბათილია მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად არის დადებული. არც ერთ შემთხვევაში

⁷¹ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ. 42-43;

⁷² გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.45;

მხარეებს არ სურთ იმ შედეგის დადგომა, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს გარიგების შინაარსიდან. მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია „იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს“. მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად და დასაფარავად გამოიყენება.⁷³ მაგალითად, კრედიტორთა დაკმაყოფილებისთვის თავის ასარიდებლად მოვალე ვითომ ყიდის ან ვინმეს ჩუქნის თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. სინამდვილეში, აქ თავს არ იჩენს არც ნასყიდობის და არც ჩუქების ხელშეკრულება. ეს ურთიერთობები ემსახურება მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგის ილუზიის შექმნას, რომლის „ვითომ“ დადგომაზეც არის მიმართული ეს მოჩვენებითი გარიგება. მოჩვენებითი გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოქანმოთვლილ შემთხვევაში, მოჩვენებითი გარიგების მონაწილე ყველა მხარე იქცევა მოსაჩვენებლად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა.

თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა ჩვენ საქმე გვაქვს თვალთმაქცურ გარიგებასთან.

ბათილია გარიგება ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც განხორციელებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ. არასერიოზულად გამოვლენილი ნების ნამდვილობის საკითხი მეტად ინდივიდუალურია, რადგან საკმაოდ რთული დასადგენია, რამდენად სერიოზული ზრახვებით მოქმედებდა პირი, როდესაც ავლენდა საკუთარ ნებას. ამასთან, რთული შესაფასებელია მეორე პირის (კონტრაქტის) აღქმის იდენტურობა და ადეკვატურობა არასერიოზულად გამოვლენილ ნებასთან მიმართებაში.⁷⁴

გარიგების ბათილობა ქმედუუნარობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო. ბათილია მცირეწლოვნის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის შემთხვევაში. ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, თუ ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული. გარიგების ბათილობის საკითხი ზემოხსენებულ შემთხვევებში პირდაპირ კავშირშია იმასთან, რამდენად ადეკვატურად და

⁷³ ავტორთა კოლექტივი. (2002). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი. (ვ. ჭანტურია, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 186

⁷⁴ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.46

ნამდვილად (სწორად) შეუძლია პირს, ერთი მხრივ, გამოავლინოს საკუთარი ნება ისე, რომ მის გარე გამოვლენასა და შინაგან აღქმას შორის იყოს იდენტურობა, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად აცნობიერებს პირი მის მიერ გამოვლენილი ნების განხორციელების შემთხვევაში იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას, რომელიც მოჰყვება ამ ნების გამოვლენას და რამდენად სურს ეს უკანასკნელი. კანონმდებელი ადგენს, იმისთვის, რათა გარიგება ზემოხსენებული საფუძვლებით ბათილად ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი, პირი მაინც და მაინც ქმედუუნაროდ იყოს ცნობილი სასამართლოს მიერ. ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოვლენილი ნება და შესაბამისად გარიგება (პირის მონაწილეობა გარიგებაში) წინ უსწრებს მის ქმედუუნაროდ აღიარებას ან სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ პირი ქმედუუნაროდ იყოს ცნობილი, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც იგი მონაწილეობდა გარიგებაში (ავლენდა ნებას), იგი იმყოფებოდა ფსიქიკური მოშლილობის მდგომარეობაში.

მაგალითად, ცნობიერების დაკარგვა ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობა, რომელიც შესაძლებელია გადატვირთული სამუშაო გრაფიკის ან თუნდაც სტრესების სიმრავლის გამო განვითარდეს, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პირი ცნობილ უნდა იქნას ქმედუუნაროდ, მაგრამ ჩამოთვლილი შემთხვევები საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმისთვის, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გარემოებების შეფასებისა და ანალიზის შედეგად ეს გარემოებები წარმოადგენდეს გარიგების ბათილობის საფუძველს.

ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილობა. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც ბათილი გარიგება მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად შეიცავს სხვა ნამდვილ გარიგებას და აკმაყოფილებს ამ უკანასკნელის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში ბათილი გარიგებების ნაცვლად მხარეებმა შეიძლება მათ შორის დადებულად ჩათვალონ ეს ნამდვილი გარიგება. შესაბამისად, მხარეებს ეძლევათ საშუალება, აღარ დადონ ახალი დამატებითი გარიგება და ბათილი გარიგება მიიჩნიონ მათთვის სასურველ გარიგებად. ამ წესს სამოქალაქო კოდექსი გარიგების კონვერსიას უწოდებს (სსკ-ს მე-60 მუხლი).⁷⁵

⁷⁵ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.47-48;

3.6.1. ბათილი გარიგების სახეები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარიგების ნამდვილობას უთანაბრდება ნების ნამდვილობასთან მიმართებით გამოყოფილი კომპონენტები, ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა, მათგან რომელიმეს ხარვეზი კი მის არანამდვილობას განაპირობებს.⁷⁶ ასეთ შემთხვევაში, გარიგება ბათილია, ხოლო შედეგი, რომელიც მისგან უნდა გამომდინარეობდეს ითვლება არარსებულად. ბათილი ნების გამოვლენის არანამდვილობას განაპირობებს ისეთი არსებითი და გამოუსწორებელი ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის სამართლებრივი შედეგის დადგომას. ფაქტობრივად ბათილი გარიგება ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს მისი მოქმედების ვერცერთ ეტაპზე.⁷⁷

შესაბამისად, პირთა მიერ ნების გამოვლენა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს სამართლებრივი შედეგის დადგომას, ხოლო ზოგ შემთხვევაში არა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს ნამდვილი და ბათილი გარიგების ცნებებს. გარიგება, რომელიც იწვევს მხარეთა მიერ სასურველი შედეგის დადგომას ნამდვილია. ხოლო, გარიგება, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება მხარეთა მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი, რადგან განხორციელებული ქმედება სამართლებრივად უვარგისადაა მიჩნეული, ბათილია. ქმედებები, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევს განსხვავებულია. ამდენად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილობის ფორმები და სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს, უცილოდ ბათილ (არარა), ნაწილობრივად ბათილ და მერყევად ბათილ გარიგებებს, ამასთან ბათილ გარიგებებს უკავშირდება საცილო გარიგებებიც.⁷⁸

ა) უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი
უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც დადებისთანავე ბათილია და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.⁷⁹ ასეთი გარიგება იმთავითვე ბათილია, ამასთან მისი ნამდვილობა არ არის დაკავშირებული გარიგების ბათილობის შემდგომ განხორციელებულ მოქმედებებთან. შესაბამისად, გარიგებები, რომლებიც ბათილადაა ცნობილი სამოქალაქო სამართლებრივ წრილში არ აქვთ სამართლებრივი შედეგობრიობა, თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მას ფაქტობრივი შედეგი არ მოჰყვება. გარიგების ბათილობა მის სამართლებრივ მოქმედებას უკავშირდება დროსა და სივრცეში, თუმცა ფიზიკურად განხორციელებული ქმედებების ანულირება, ფაქტობრივად, ვერ განხორციელდება. მაგალითად, ნივთის გაჩუქების შემდგომ გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საკუთრება ნივთის შემძენზე აღარ გადავა. მიუხედავად ამისა, ნივთი ფაქტობრივ მფლობელობაში შემძენს რჩება და გამჩუქებელს გარიგების ბათილობიდან გამომდინარე აქვს ზიანის ანაზღაურების, გარიგების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.⁸⁰

⁷⁶ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 261.

⁷⁷ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 261.

⁷⁸ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 385-386.

⁷⁹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-7 ველი.

ამასთან, ბათილ გარიგებასთან მიმართებით კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დადასტურების შესაძლებლობას.⁸¹ რითაც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ფაქტობრივად, ახალი გარიგების დადების საშუალებით მიიღონ სასურველი სამართლებრივი შედეგი. ბათილი გარიგების დადასტურება არ გულისხმობს გარიგების ნამდვილად ქცევას, ვინაიდან, გარკვეულ გარემოებათა გამო იგი დადების მომენტიდან გაბათილებულია და იურიდიული ძალა მას ვერ მიენიჭება.⁸²

ბ) ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი

ნაწილობრივად ბათილი გარიგება ბათილი გარიგებების ერთ-ერთი სახეა. კერძოდ, ნაწილობრივად ბათილი გარიგება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა გარიგება ნამდვილია, თუმცა, მისი რომელიმე ნაწილია ბათილი. გარიგების კონკრეტული ნაწილის ბათილად ცნობა, როგორც წესი, იწვევს მის სრულად გაბათილებას, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებისას დასადგენია აღნიშნული ნაწილის კავშირი გარიგების დანარჩენ ნაწილებთან მიმართებით.⁸³ ამასთან, გარიგების ნაწილის ბათილობის სამართლებრივი საფუძველი არარელევანტურია, რადგან, მთავარია, აღნიშნული ნაწილი ისე გამოეყოს მთელს გარიგებას, რომ მისი ბათილობა არ გამოიწვიოს. შესაძლებელია, გარიგება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მაგალითად, იჯარა, ნასყიდობა და ა.შ. მისი ნაწილების გამოცალკევებისას, მნიშვნელოვანია, რომ დარჩენილ ნაწილს გააჩნდეს სამართლებრივი შინაარსი და აღქმულ იქნას სამართლებრივად ნამდვილ და შედეგობრივ გარიგებად.⁸⁴

ნაწილობრივად ბათილი გარიგების მომწესრიგებელი ნორმის⁸⁵ დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მისი სრულად ბათილად გამოცხადება, ამასთან, იმის გათვალისწინება გარიგებაში მონაწილე პირებს სურთ თუ არა გარიგების დარჩენილი ნაწილის მოქმედების გაგრძელება.⁸⁶ თუმცა, აღნიშნული პირდაპირ არ გულისხმობს გარიგების ბათილი ნაწილის მოქმედების გაგრძელების სურვილს. მათ შეუძლიათ გამოასწორონ ბათილი ნაწილის ნაკლოვანება, სამართლებრივი ურთიერთობა განაგრძონ მის გარეშე ან სრულად თქვან უარი გარიგებაზე.⁸⁷

გ) მერყევად ბათილი გარიგებანი

მერყევად ბათილი გარიგებათა კატეგორია ისეთი გარიგებებია, რომლებიც შესაძლებელია დადებისთანავე იყოს ბათილი, რადგან ნამდვილობისათვის გათვალისწინებული წინაპირობა არ გააჩნიათ.⁸⁸

ფაქტობრივად, ისეთი გარიგებებია, რომელთა ნამდვილობა კონკრეტულ წინაპირობაზეა დამოკიდებული და გარკვეული ქმედების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია

⁸⁰ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 61, მე-7-მე-8 ველები.

⁸¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი.

⁸² ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 388.

⁸³ ბ. ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 201-202.

⁸⁴ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 62, მე-6-მე-8 ველები.

⁸⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი.

⁸⁶ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 62, მე-2, მე-11 ველები.

⁸⁷ ბ. ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 203.

⁸⁸ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 392.

ნამდვილი გახდეს. მერყევად ბათილ გარიგებებში მოიაზრება, მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება, რომელსაც მერყევად ბათილად სწორედ ის აქცევს, რომ მისი ნამდვილობა საჭიროებს კონკრეტული პირის თანხმობას. აღნიშნული თანხმობის შემდეგ კი იგი ნამდვილ გარიგებად ითვლება.⁸⁹

მერყევად ბათილი გარიგების დადების შემთხვევაში, სხვადასხვაგვარადაა მოწესრიგებული მისი მოწონების გათვალისწინებით გარიგების ნამდვილად აღიარების დრო. კერძოდ, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კანონიერი წარმომადგენელი არ მოიწონებს გარიგებას, იგი ბათილია მისი დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc. ხოლო, ამავე კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოწონებას, ფაქტობრივად უკუქცევითი ძალა აქვს და შემდგომი თანხმობის შემთხვევაში გარიგება ნამდვილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.⁹⁰

რაც შეეხება, ისეთ გარიგებებს, რომლებიც მთლიანობაში ნამდვილია, თუმცა კონკრეტულ პირთა ან პირის მიმართ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ სამოქალაქო სამართალი ფარდობითი კატეგორიის გარიგებებად მიიჩნევა.⁹¹

დ) საცილო გარიგებანი

საცილო გარიგებანი სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია და სწორედ მას ეხება ნაშრომში განხილულ საკითხთა ნაწილი. იგი დადების მომენტში ნამდვილია, თუმცა კანონით გათვალისწინებული შეცილების შემთხვევაში კარგავს იურიდიულ ძალას და, ფაქტობრივად, ბათილია.⁹² ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბათილობა დაკავშირებული და დამოკიდებულია პირის მიერ განხორციელებულ შეცილებაზე, ამგვარი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, იგი ბათილია დადების მომენტიდანვე.

საცილო გარიგების ბათილობისათვის საჭირო არ არის სასამართლო გადაწყვეტილება, იგი ნამდვილი შეცილების შემთხვევაში დადების მომენტიდანვე ბათილია. საცილო გარიგებათა ამგვარი მოწესრიგებით ქართული სამართალი განსხვავდება დსთ-ს ქვეყნებში არსებული რეგულირებისაგან, რომელიც საცილო გარიგების ბათილად ცნობას სარჩელს უკავშირებს.⁹³ ამასთან მიმართებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეცილების ვადასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მოსარჩელემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა და ჩაითვალა, სადავო გარიგებასთან დაკავშირებით განხორციელებულ შეცილებადა.⁹⁴

⁸⁹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 392.

⁹⁰ Rütters/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 27.

⁹¹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-11 ველი.

⁹² ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 382.

⁹³ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-12 ველი; კერესელიძე,

კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 270.

⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 214.

შეცილების უფლება მისი ბათილობის ან ნამდვილობის მიმნიჭებელი უფლებაცაა,⁹⁵ გამომდინარე იქიდან, რომ პირს შეუძლია ნამდვილი შეცილებით გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, ხოლო ამ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში საცილო გარიგება ნამდვილი ხდება.

ამგვარი გარიგების მაგალითებია, მოტყუებით, იძულებით ან შეცდომით დადებული გარიგებები. რომლებსაც კონკრეტული წინაპირობები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში გარიგება საცილოდ ითვლება და შეცილების განხორციელების შემთხვევაში დადების მომენტიდანვე ბათილია. ამასთან, საცილო შეიძლება იყოს თავად შეცილება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა, თუკი იგი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.⁹⁶

ვინაიდან, „შეცილება სამართლებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა იგი არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“.⁹⁷ ამასთან, კანონმდებლობა შეცილების ადრესატად გარიგების მეორე მხარეს მიიჩნევს, თუმცა აღნიშნული არ არის სავალდებულო. ადრესატი შეიძლება იყო ნებისმიერი პირი, რომელმაც აღნიშნული გარიგებით მიიღო სარგებელი.

რაც შეეხება შეცილების უფლების მქონე პირს, კანონმდებლობა ამ შემთხვევაში, აღნიშნულ უფლებას „ნებისმიერ დაინტერესებულ პირს“ ანიჭებს. ხოლო, დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისათვის, მთავარია, რომ საცილო გარიგებამ აღნიშნულ პირს ზიანი მოუტანა. ამასთან, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეცილების, რაიმე სპეციალურ ფორმას. შეცილების უფლების გამოყენებისას, მთავარია ჩანდეს, დაინტერესებული პირის სურვილი გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე.

3.7. შეცდომით დადებული გარიგებანი

შეცდომა ადამიანის ცხოვრების თანმდევაა, იგი ფსიქოლოგიის მეცნიერული და მენტალურ-მორალური კატეგორიაა.

სამოქალაქო სამართლისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა უნდა ჩაითვალოს შეცდომად. სამოქალაქო სამართალში უნდა განხორციელდეს შეცდომათა კლასიფიკაცია იმისთვის, რათა თითოეულ ჯგუფში შემავალ შეცდომებს შესაბამისი იურიდიული შედეგი დაექვემდებაროს. სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვა აღმოჩნდება

⁹⁵ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, 26-ე ველი; მუხ. 59, 27-ე ველი.

⁹⁶ MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 13

⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 212; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება;

გარკვეული საფრთხის წინაშე, რადგან სამართალურთიერთობების მონაწილეებს შეეძლებათ მათ მიერ ამ ურთიერთობებით ნაკისრი ვალდებულებებისგან თავის დაღწევა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ისინი შეცდნენ. სამოქალაქო სამართლისთვის, შეცდომასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია სამართლიანობის სრულად დაცვა და უზრუნველყოფა, რადგან სამართლიანობაში, ერთი მხრივ, იგულისხმება, რომ იმ მხარეს, რომელიც ნამდვილად შეცდა, უნდა დაუბრუნდეს ის, რაც მან შეცდომით გაასხვისა ან დაკარგა (მაგალითად, გაყიდა სახლი და მასთან არსებული მიწის ნაკვეთი ისე, რომ მიაჩნდა, თითქოს მხოლოდ სახლს ყიდდა), ხოლო მეორე მხრივ, არის კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელმაც ზემოაღნიშნული სახლი და მიწა კეთილსინდისიერად შეიძინა.⁹⁸ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი და რა იურიდიული შედეგის დადგომა იქნება სამართლიანი?

ამ საკითხის გადაწყვეტისას და სამართლებრივ ჭრილში გამოსავალის ძიებისას უწინარესად უნდა განისაზღვროს, რამდენად შეიძლება შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა იყოს ნამდვილი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, დავუბრუნდეთ ნებისა და ნების ნაკლის თეორიებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგანაც პირის შინაგანი ნება და მისი გარე გამოვლენა ერთმანეთისგან განსხვავდება, გამოვლენილი ნება ვერ იქნება მიჩნეული ნამდვილად. მაგალითად, ზემოაღნიშნული სახლისა და მიწის ნაკვეთის ერთიანად გაყიდვის ნება (და შესაბამისად, ამის განზრახვა) არ ჰქონდა მის მესაკუთრეს, მაშასადამე ფორმულირება „ვასხვისებ სახლს და მასთან არსებულ ყველა მოძრავ და უძრავ ნივთს“ მოიცავდა ასევე სახლთან არსებულ მიწის ნაკვეთს. სახლის მესაკუთრეს არ ჰქონდა არც გაცნობიერებული და არც ნასურვები ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც რეალურად დადგა. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში კანონმდებელი?

კანონმდებლის პოზიცია დამყარებულია თანამედროვე მოძღვრებაზე შეცდომის შესახებ და სწორედ ეს მოძღვრება უდევს საფუძვლად სსკ-ს 72-ე მუხლს, რომლის მიხედვით, შეცდომამ (ნების ნაკლმა) შეიძლება განაპირობოს გარიგების ბათილობა. სწორედ აქ ისმის კითხვა: როგორმა (რა ტიპის) შეცდომამ შეიძლება განაპირობოს გარიგების ბათილობა? რადგან ყველა (თითოეული) შეცდომის მიჩნევა გარიგების საფუძვლად, როგორც ზემოთ ითქვა, სახიფათო იქნებოდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობისთვის, რადგან თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების ფაქტობრივი შედეგით უკმაყოფილო მხარეს შეეძლო ეთქვა, რომ შეცდა. აქვე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ შეცდომა და კანონის უცოდინრობა. შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინრობა კი - საქმის მდგომარეობის არცოდნა.⁹⁹

⁹⁸ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.54-55;

⁹⁹ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.55-56;

მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, არსებითია შემდეგი შეცდომები:

□ პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზეც მან გამოთქვა თანხმობა (ამ შეცდომას ასევე უწოდებენ შეცდომას გარიგების ტიპის არჩევაში). შეცდომას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ნების გამოვლენა ნაჩქარევად, უზუსტობა გარიგების დოკუმენტში და მრავალი სხვა. რამდენად იყო შეცდომა ნების გამოვლენაში, უნდა დადგინდეს ნების გამოვლენის განმარტების საფუძველზე. თუ დადგინდა, რომ გამოხატული ნება არ შეესაბამება იმას, რაც ნების გამოვლენის ნამდვილად სურდა, მაშინ მას ექნება შეცილების საფუძველი. გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომა თავის მხრივ განსხვავდება ე.წ. *falsa demonstratio*-სგან, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ერთ ხელშეკრულებაზე, სინამდვილეში კი დადეს სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში შესაძლებელია იყოს როგორც ცალმხრივი (ცდებოდეს მხოლოდ ერთი მხარე), ისე ორმხრივი (ცდებოდეს ორივე მხარე);

□ შეცდომა გარიგების შინაარსში. ამ შემთხვევაში, პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა (პირს სურდა, გარიგების შინაარსში სხვა აზრი ჩაედო, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა). ამ ტიპის შეცდომები ყველაზე ხშირად მაშინ გვხვდება, როდესაც გარიგების მონაწილე იყენებს, მაგალითად, უცხოენოვან აღნიშვნებს, ან სიტყვებს (ტერმინებს) ისე, რომ არ აქვს მკაფიოდ, ზუსტად და კონკრეტულად გააზრებული ამ სიტყვის ან სიტყვა-ტერმინის სამართლებრივი მნიშვნელობა. ეს შეცდომა ხშირია მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ტექსტს ადგენენ არაიურიდიული განათლების მქონე პირები, რომლებსაც შეიძლება საფუძვლიანად (სრულად) არ ჰქონდეთ გააზრებული ამა თუ იმ ტერმინის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი გამოყენების სამართლებრივი შედეგი. ამ ტიპის შეცდომა გვხვდება ასევე, როდესაც პირი სამართალში აღიარებულ ცნებაში სხვა შინაარსს დებს;

□ შეცდომა გარიგების საფუძვლებში - ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ არსებობს ის გარემოებები, რომლებსაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად (გარიგების საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას). ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული დებულებების მიხედვით, საფუძველში შეცდომა არის შეცდომა განსაზღვრულ გარემოებაში; გარემოება არის სუბიექტურად აუცილებელი ელემენტი და მას ხელშეკრულების საფუძვლად მიიჩნევენ ცდომილებაში მყოფი პირი; სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერების პოზიციებიდან გამომდინარე, ეს გარემოებანი ხელშეკრულების

საფუძვლად მიიჩნევა; საჭიროა, ხელშეკრულების მეორე მხარე აცნობიერებდეს გარემოებების იმ მნიშვნელობას, რასაც მათ ანიჭებს ცდომილებაში მყოფი მხარე.¹⁰⁰

შეცდომა კონტრაჰენტის (ლათ. *contrahens (contrahentis)* ხელშეკრულების დამდები - პირი ან დაწესებულება (იურიდიული პირი), რომელმაც ხელშეკრულების ძალით რაიმე ვალდებულება იკისრა.) პიროვნების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა არსებითად, თუ თავად კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია. ამგვარი შეცდომა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით - კონტრაჰენტის ასაკი, სიმაღლე, წონა, პროფესიონალიზმი და მრავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი მიიჩნევს გარიგების ბათილობის საფუძვლად კონტრაჰენტის არა ყველა თვისებაში შეცდომას, არამედ მხოლოდ ისეთ პირად თვისებაში შეცდომას, რომელიც გარიგების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, შეცდომა პიროვნებაში უნდა განვასხვავოთ შემოქმედებითი და სპორტული წარუმატებლობისგან. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების იგივეობაში თავს იჩენს, თუ ერთი მხარის ნების ადრესატი აღმოჩნდება არა ის პირი, რომელთანაც მას აქვს განზრახული, დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა.¹⁰¹

შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისთვის. საგნის თვისებათა შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ ცნებაში „საგანი“, მოცემული მსჯელობის კონტექსტში, იგულისხმება არა მხოლოდ ნივთი, არამედ უფლებები, მოთხოვნები და ყველა ის სიკეთე, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი. საგნის ძირითად თვისებაში შეცდომა იჩენს თავს, თუ, მაგალითად, პირს განზრახული აქვს, იყიდოს ბრილიანტის თვლიანი ოქროს სამკაული, ხოლო სინამდვილეში ის ყიდულობს სპილენძის სამკაულს ბროლის თვლით. ამასთან, საგნის თვისების შეფასება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ობიექტური გზით, არამედ სუბიექტურითაც. შესაძლებელია, პირს სჭირდებოდეს საგანი, რომელიც, მისი აზრით, არის გარკვეული თვისებების მქონე (და ამ თვისებებს პირისთვის აქვს სუბიექტური მნიშვნელობა და ღირებულება), მაგრამ აღმოჩნდეს, რომ საგანს ეს თვისებები არ გააჩნია. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საგნის ძირითად თვისებებში შეცდომასთან, რომელიც ამ საგნის მიმართ პირის სუბიექტური დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე დგინდება.

შეცდომა უფლებაში. შეცდომის ამ ტიპში უწინარესად იგულისხმება პირის არასწორი წარმოდგენა მის მიერ დადებული გარიგების უფლებრივ შედეგებზე. სახელდობრ, გარიგების დადებისას პირი ცდებოდა და მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მის მიერ გარეგნულად გამოხატულ ნებას ამგვარი შედეგი ექნებოდა ამა თუ იმ ქმედებისთვის. უფლებაში შეცდომა

¹⁰⁰ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.57-58;

¹⁰¹ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.59;

გვხდებოდა სწორედ იმ მაგალითში, სადაც პირი ყიდდა თავის საკუთრებაში არსებულ სახლს და გარიგებაში ეწერა „სახლი მთელი თავისი უძრავ-მოდრავი ქონებით“. პირმა არ იცოდა, რომ უძრავ-მოდრავ ქონებაში იგულისხმებოდა ის მიწის ნაკვეთიც, რომელიც სახლთან არის. შეცდომა უფლებაში ძირითადად კანონის უცოდინრობით არის განპირობებული, რადგან მას რომ სცოდნოდა უძრავი ქონების ცნების მნიშვნელობა სამართლებრივ ჭრილში, ის არ ჩაწერდა ზემოაღნიშნულ წინადადებას გარიგებაში. თუმცა უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება, თუ სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოცემულ გარიგებას მოსდევს, კანონით არის განსაზღვრული და გარიგების მხარე კანონის საწინააღმდეგო ნორმას აფიქსირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დადგენილი წესის მიხედვით, „შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო“.¹⁰²

შეცდომა გარიგების მოტივში. მოტივის თემა მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამოქალაქო სამართლისთვის, მოტივი (ისევე, როგორც ზოგადად დასახული კონკრეტული მიზნისკენ სწრაფვა) წარმოადგენს იმ ძირითად მამოძრავებელ იმპულსს, რომლის გამოც პირს სურს ან არ სურს (ორივე კატეგორია განეკუთვნება სურვილს) რაიმე მოქმედების (რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის წარმოქმნა, შეცვლა ან შეწყვეტისკენ) შესრულება (ან ამ შესრულებისგან თავის შეკავებისკენ). გარიგების დადების მოტივებს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომლებსაც გარიგების ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეების, გარიგების საგნის თვისებების ან იმ გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობასაც მან დაუკავშირა გარიგების დადება.

სამოქალაქო სამართალში არსებული ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების მოტივში შეცდომა არაა გარიგების ბათილობის საფუძველი, რადგან გარიგების დადებისას მის მონაწილე თითოეულ მხარეს აქვს თავისი წარმოდგენები და ზრახვები, შესაბამისად, მოტივებიც ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია. თუ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა ზოგად წესად დააწესებდა გარიგების დადების მოტივში არსებულ შეცდომას გარიგების ბათილობის საფუძველად, წარმოიქმნებოდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისა და სამოქალაქო ბრუნვის დაუცველობასა და არასტაბილურობის საფრთხე, ამის გამო კანონმდებელმა სსკ-ს 76-ე მუხლის ძალით დაადგინა, რომ „შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა“. ხშირ შემთხვევაში, გარიგების მოტივის საკითხი დაკავშირებულია ან გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებებთან. ამიტომ რთულია იმის გამიჯვნა, თუ როდის

¹⁰² გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.59-60;

არის შეცდომა დაკავშირებული გარიგების მოტივთან და როდის - პიროვნების ან საგნის ძირითად თვისებებთან.¹⁰³

შეცდომით დადებული გარიგებები საცილო გარიგებათა კატეგორიას განეკუთვნება. ყველა სხვა საცილო გარიგების მსგავსად, იგი მიიჩნევა ნამდვილად, ვიდრე დაინტერესებული პირი არ მოითხოვს მის გაბათილებას. შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუ მეორე მხარე თანახმაა, შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის შესაბამისად, რომელსაც სურს, გარიგება საცილოდ იქცეს. აღსანიშნავია კანონმდებლის პოზიცია წვრილმან შეცდომებთან მიმართებაში. ეს ისეთი შეცდომებია, რომლებიც არ განეკუთვნება არსებითი შეცდომების კატეგორიას და თავის მხრივ, შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ე.წ. მექანიკური შეცდომები, მაგალითად, შეცდომა გამოანგარიშებაში. კანონმდებელი ადგენს, რომ წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას. რა პერიოდის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შეცილება შეცილების უფლების მქონე პირის მიერ? შესაძლებელია კი შეცილების განხორციელება შეცილების საფუძვლის შეტყობიდან, მაგალითად, ერთ წელიწადში?

იმისთვის, რათა ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყოს, კანონმდებელი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც, „შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგება საცილო გახდა და შეცდომა განპირობებულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია, მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოქმნილი ზიანი. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიქმნება, თუ მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.¹⁰⁴

3.8. მოტყუებით დადებული გარიგებანი

ნების გამოვლენის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს (ხელყოფილ იქნას, შეიცვალოს) არა მხოლოდ გარიგების მონაწილის შეცდომის საფუძველზე, არამედ გარიგების კონტრაქტის განზრახი მოქმედების - მოტყუების შედეგად. მოტყუებით დადებულ

¹⁰³ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.60-61;

¹⁰⁴ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.62-63 ;

გარიგებებზე მსჯელობისას უწინარესად უნდა გაირკვეს, რა არის მოტყუება და შესაბამისად, თავად ტყუილი? ტყუილის უნივერსალური დეფინიცია არ მოიპოვება, აშკარაა, რომ როგორც სამართლის, ისე ფსიქოლოგიის ფარგლებში ტყუილად განიხილება არსებული რეალობის შესახებ არასწორი (დამახინჯებული, სახეშეცვლილი) ინფორმაციის (ცოდნის, გამოცდილების) მიწოდება სხვა ნებისმიერი (მესამე) პირისთვის. სამოქალაქო კანონმდებლობაში მოტყუებით დადებულ გარიგებებზე მსჯელობისას განმარტებულია, რომელ შემთხვევაში ჩაითვლება მოტყუებით დადებული გარიგება საცილო გარიგებად. მოტყუება პირის განზრახ ცდომილებაში შეყვანაა. ისევე, როგორც შეცდომის შემთხვევაში, მოტყუებისას თავს იჩენს გამოვლენილი ნების ნაკლი, მაგრამ შეცდომისგან განსხვავებით, თუ ეს ნაკლი თავად ნების გამომვლენის პიროვნებაშია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედებაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია, მოტყუებისას ხორციელდება გარიგების მეორე მონაწილის მიზანმიმართული ქმედება, რომელიც მიმართულია პირველი მონაწილის შეგნებულად, განზრახ შეცდომაში შეყვანაზე. კანონმდებელი სსკ-ს 81-ე მუხლში პირდაპირ ადგენს, რომ მოტყუებით დადებულ გარიგებად ჩაითვლება გარიგება, რომელიც დადებულია ისე, რომ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს.¹⁰⁵

მოტყუება შესაძლებელია გამოიხატოს არა მხოლოდ აქტიური ქმედებით, არამედ, მაგალითად, იმ მონაცემების დაფარვით, რომლებიც გარიგების მხარეს უნდა შეეტყობინებინა მეორე მხარისთვის. ამ მონაცემების შეუტყობინებლობამ შეიძლება არსებითად იმოქმედოს პირის მიერ გარიგების დადების შესახებ გადაწყვეტილების ფორმირებაზე. მოტყუებით დადებული გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ პირმა იცის, რომ რეალობის შესახებ განზრახ არასწორი (დამახინჯებული, სახეშეცვლილი) ინფორმაციის მიწოდებით (ან/და პირიქით ამ ინფორმაციის არ მიწოდებით) იგი უზიძგებს მხარეს, რომ მან დადოს გარიგება, ან/და უქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც (ერთი შეხედვით) ხელსაყრელია გარიგების დასადებად. მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში გარიგების საცილობის მაკვალიფიცირებელია ის, რომ მოტყუება საფუძვლად ედო გარიგების დადებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, დაიდებოდა თუ არა მხარეებს შორის იგივე გარიგება იმ შემთხვევაში, თუ მოტყუებას ადგილი არ ექნებოდა? როდესაც ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, ჩვენ საქმე არ გვაქვს მოტყუებით დადებულ საცილო გარიგებასთან, რადგან მხარეები მზად არიან დადონ გარიგება ერთმანეთთან იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც მათთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი (რაც მანამდე ტყუილის სახით ეცნობა ან/და პირიქით არ ეცნობა).

ამასთან, კანონმდებელი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც, მოტყუების შედეგად დაზარალებულ მხარეს ყოველთვის შეუძლია, მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამისთვის კანონმდებელი პირდაპირ მოითხოვს,

¹⁰⁵ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.63 ;

რომ მოტყუება საფუძვლად ედოს ამ გარიგების დადებას, სახელდობრ, სსკ-ს 81-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“. აღსანიშნავია, რომ მოტყუებით დადებული გარიგებების ბათილობისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს უკავშირდება თუ სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე. ეს ფორმულირება იმას ნიშნავს, რომ თუნდაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიზანმიმართული დამალვა (რომელიც გადაიზარდა მოტყუებაში) ემსახურება მხოლოდ გარიგების დადებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და არ წარმოადგენს ტყუილს, რომელიც ეხება გარიგების საგანს - გარიგება მაინც უნდა ჩაითვალოს მოტყუებით დადებულად და ამგვარი გარიგება განეკუთვნება საცილო გარიგებათა ტიპს. აღწერილ შემთხვევის დროს აშკარა უნდა იყოს, რომ ტყუილი (ინფორმაციის არ მიცემა ან სახეშეცვლილი ფორმით მიწოდება) არ არის მიმართული გარიგების საგანზე, მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების შემთხვევაშიც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ - მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებას.¹⁰⁶

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც არასწორი ცნობები (ტყუილი) არა გარიგების უშუალო მონაწილისგან მომდინარეობს, არამედ მესამე პირისგან. სამოქალაქო სამართალში მესამე პირად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის კონკრეტული გარიგების ფარგლებში ნების გამომვლენი პირი ან ამ ნების ადრესატი (მიმღები პირი). მოტყუებით დადებული გარიგებების შემთხვევაში მესამე პირის მხრიდან მოტყუებაში არ იგულისხმება სამოქალაქო კოდექსის ფართო გაგებით არსებული ყველა მესამე პირი. სსკ-ს 83-ე მუხლის მიხედვით, „მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლის მიზნებისთვის კანონმდებელი მესამე პირად მოიაზრებს მხოლოდ იმ პირს, რომელიც მოტყუებით დადებული გარიგებიდან იღებს სარგებელს. მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირის მხრიდან მოტყუება თავისთავად ვერ გამოიწვევს გარიგების ბათილობას. მთავარია, მას როგორ აღიქვამდა მხარე, რომელიც სარგებელს იღებდა ამ გარიგებიდან. კეთილსინდისიერი იყო იგი თუ არაკეთილსინდისიერი. საყურადღებოა კანონმდებლის პოზიცია იმ შემთხვევაზე, როდესაც გარიგების მონაწილე ორივე პირი მოქმედებდა

¹⁰⁶ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.64-65 ;

მოტყუებით: „იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება“.¹⁰⁷

შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საცილო გარიგებასთან ანუ იმ გარიგებასთან, რომელიც ნამდვილია იმ მომენტამდე, ვიდრე მისი მონაწილეები არ მოითხოვენ ამ გარიგების ბათილობას (არ შეეცილებიან მას). მოტყუებული პირი თავის მხრივ (როგორც წესი) შეცდომაშია შეყვანილი, ამრიგად, შეცდომით დადებული გარიგების მონაწილე პირი შეიძლება იყოს მოტყუებულნიც. ამ დროს პირი გარკვეული ალტერნატივის წინაშე დგება, სახელდობრ, რომელი საფუძვლით მოითხოვოს გარიგების ბათილობა - შეცდომით დადებული გარიგების საფუძვლით თუ მოტყუებით დადებული გარიგების საფუძვლით? ამ დროს წარმოიქმნება გარკვეულწილად უფლებათა კონკურენცია, რადგან შეცდომით დადებული გარიგებებისთვის შეცილების ნამდვილობა (შეცილებისთვის დაწესებული ვადა), სსკ-ს 79-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეადგენს ერთ თვეს იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო შეცილების საფუძველი, ხოლო მოტყუებით დადებული გარიგებებისთვის დაწესებული შეცილების ვადა (სსკ-ს 84-ე მუხლი) შეადგენს ერთ წელს და ამ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა შეიტყო შეცილების საფუძლის არსებობის შესახებ. სწორედ ზემოხსენებული ნორმებით მკვიდრდება პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში შეცილების უფლების მქონე პირი უფრო დაცულია შეცილების ვადის ხანგრძლივობის მხრივ. იმ შემთხვევაში, თუ თავს იჩენს შეცდომით დადებული გარიგება, რომლის შეცდომაში მყოფი მონაწილე თავადვეა მოტყუებული პირი, შეცილება დასაშვებია შეცდომით დადებული გარიგების საფუძველზე ერთი თვის ვადაში, ხოლო მოტყუებით დადებული გარიგების საფუძლის შემთხვევაში - ერთი წლის განმავლობაში.¹⁰⁸

3.9. იძულებით დადებული გარიგებანი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობები დამყარებულია ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებზე, რომლებიც გულისხმობს, რომ ყოველ უფლებაუნარიან პირს აქვს უფლება და შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობები დაამყარონ სუბიექტური ნების გათვალისწინებით.

¹⁰⁷ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.66;

¹⁰⁸ გ.თუმანიშვილი, გარიგებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012 წელი, გვ.66-67;

იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში კი ხელშეკრულება აღარ ექცევა ნების ავტონომიის საფუძველზე დადებულ გარიგებათა კატეგორიაში და მისი რეალური საფუძველი მხარის მიერ ნაკლოვანი ნების გამოვლინებაა.

იძულებით დადებული გარიგება ნების ნაკლის საფუძველზე დადებული¹⁰⁹ საცილო გარიგების ერთ-ერთი სახეა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი პირს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს გარიგების ბათილობა, როცა გარიგება დადებულია აღნიშნული პირის იძულებით, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან და თავის თავში მოიცავს ძალადობას ან მუქარას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი გარიგებები წარმოადგენს საცილო გარიგების ტიპს, შესაბამისად, მისი ბათილობა დაკავშირებულია ხელშემკვრელი მხარის მიერ შეცილების განხორციელებასთან, განსხვავებით ბათილი გარიგებების ისეთი ტიპისაგან, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო ავტომატურად ბათილად ითვლება დადების მომენტიდანვე.¹¹⁰ შესაბამისად, გარკვეულ წინაპირობათა დაკმაყოფილების შემთხვევაში ზოგიერთი გარიგება გაუქმებას ექვემდებარება. ამასთან, საკამათო არ არის, რომ ზეწოლის არსებობა ხელშეკრულების დადებისას მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.¹¹¹

იძულება თავის თავში მოიაზრებს პირზე გარკვეული სახის ზემოქმედებას, წნეხს, რომლის შედეგადაც პირი ახორციელებს მოძალადისათვის სასურველ ქმედებას, განსახილველ შემთხვევაში, დებს გარიგებას. იძულება მოიცავს, როგორც ძალადობას, რომელიც გულისხმობს პირდაპირი გაგებით ფიზიკურ ძალადობას, ისე მუქარას. იძულების ორივე ფორმა საბოლოოდ ემსახურება პირის ნების მოდრეკას.¹¹²

ნების ნაკლს წარმოშობს სწორედ ის გარემოება, რომ პირს შინაგანად არ სურს იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა, რაც გამოწვეული იქნება გარიგების დადებით, თუმცა მისი გამოვლენილი ნება აღნიშნულის საპირისპიროა. ფაქტობრივად, პირის შინაგანი და გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ ემთხვევა.¹¹³

გარიგების იძულებით დადებისას ხდება პირის სუბიექტურ ნებაზე იმგვარად ზემოქმედება, რომ მას აღარ რჩება შესაძლებლობა მისივე სუბიექტური ნება გააცხადოს. იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად, ნება მაინც გამოვლენილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ემთხვევა პირის შინაგან ნებას, ზოგიერთ საქმეებში მხარეთა მიერ იყო იმის მტკიცების მცდელობა, რომ ასეთი გარიგება უნდა აღსრულებულიყო. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როცა პირს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრნენ და ამგვარი მუქარით აიძულეს გამოეხატა ხელშეკრულებაზე თანხმობა. თუმცა, ასეთ შემთხვევებთან მიმართებით როგორც ქართული, ისე უცხოური კანონმდებლობა ცალსახა და მსგავსი გზით დადებული გარიგებების არააღსრულებადობას ითვალისწინებს.¹¹⁴

¹⁰⁹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 380.

¹¹⁰ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 384. იხ. ციტატა: რუსიაშვილი,

სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, მე-2 ველი.

¹¹¹ Stephen A. Smith, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

¹¹² გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, 1-ლი ველი.

¹¹³ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 381.

¹¹⁴ Stephen A. Smith, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

ზეწოლის ქვეშ დადებულ ხელშეკრულებათა საქმეებში, როგორც წესი, ორი განსხვავებული საფუძველია, რომელთა საფუძველზეც უქმდება ხელშეკრულება. ცეცხლსასროლი იარაღით იძულებისას დადებული ხელშეკრულებისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ხელშეკრულების აღუსრულებლობას იწვევს არის ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას მისივე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით ცდილობს. ხოლო, მეორე მიზეზია ის, რომ პირი, რომელიც შემდგომში მიუთითებს ხელშეკრულების ნამდვილობას, არ არის თანახმა ხელშეკრულების დადებაზე.¹¹⁵

იძულება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც გარიგების მხარეზე, ისე მესამე პირზეც, რომელიც შემოფარგლულია პირის ახლობელთა წრით,¹¹⁶ ამასთან იგი შეიძლება მომდინარეობდეს გარიგების ერთ-ერთი მხარიდან ან/ და მესამე პირისგანაც.¹¹⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით დადებულ გარიგებას გარკვეული წინაპირობები გააჩნია. ობიექტური შემადგენლობა კი მოიცავს პირზე ძალადობის ან მუქარის განხორციელებას.

სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებზე დაფუძნებული სასარჩელო მოთხოვნები მრავლადაა განხილული და საინტერესოა სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებები და განმარტებები იძულებით დადებული გარიგების ზოგადი დახასიათების, მტკიცების ტვირთისა თუ შეცილების ვადასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში განხორციელებული შეცილებისას სასამართლოა ის ორგანო, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილი პრაქტიკის საშუალებით უზრუნველყოფს სამართლებრივი შედეგის დადგომას. „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები“.¹¹⁸

იძულებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე¹¹⁹ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლოს მიერ არაერთი განმარტება იქნა გაკეთებული, რომლებიც შემდგომში უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებშია გამოყენებული.

¹¹⁵ Stephen A. Smith , CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

¹¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლი.

¹¹⁷ Heinrich Dörner /HK-BGB, 10. Aufl. 2019, § 123 Rn. 9; იმავეს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი;

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის, 09 დეკემბრის №ას 15-29-1443-2012 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 187.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება

სასამართლოს განმარტებით, იძულებით დადებულ გარიგებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ საკუთრების უფლება დაცული სიკეთეა შესაბამისად, დაუშვებელია მისი ჩამორთმევა, ასევე სხვაგვარი ხელყოფა, თუ არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის 116-118-ე მუხლები). ამ უფლების ხელმყოფი ნებისმიერი მოქმედება თავისთავად მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა, თუ გამონაკლისის სახით არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ზიანის მიყენებელს აწევს. ამასთან, დიდი პალატის შეფასებით, „პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რადგან არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატების ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას“.¹²⁰

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განმარტებით იძულება ცალსახა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპულ კონვენციასთან მიმართებით, საქმის ზემოაღნიშნული საფუძვლით გადაწყვეტისათვის აუცილებელია დადგენილ იქნას იძულების ფაქტი, რომლის ზემოქმედებითაც პირმა განახორციელა ქმედება. ზემოაღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იძულება მიმართული იყო, როგორც თავად მის, ასევე მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ. ხოლო ამ გარემოებებმა აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი შეიძლება ყოფილიყო, რასაც შედეგად, როგორც მისი პიროვნების, ისე ოჯახისა და ქონებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვებოდა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მის მიმართ განხორციელებული იძულება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო,¹²¹ რაშიც დაეთანხმა საკასაციო სასამართლო და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული იძულება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშშიც აისახა, ამავე წელს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისაგან მას მიენიჭა პოლიტიკური თავშესაფარი და 2012 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნილად.¹²²

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება,

¹²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება,

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება

თავი IV. კვლევის შედეგები

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით კონკრეტულ შედეგებამდე.

კვლევა იწყება იმ ლიტერატურის ჩამონათვალით, რომელიც გამოყენებულ იქნება თემის მოსამზადებლად. დასაწყისში, საუბარია გარიგებას ცნებაზე, მისი წარმოშობის ისტორიასა და მნიშვნელობაზე.

შემდგომ საუბარია, გარიგებაზე, როგორც ნების გამოვლენაზე. მის მნიშვნელობასა და მიზანზე.

მესამე თავში განხილულია გარიგების სახეები. მოკლედია განხილული გარიგების ისეთი სახეები, როგორცაა, ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები.

ამასთან, თემაში შეხვდებით მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგების სახეებსაც. ასევე, კაუზალურ და აბსტრაქტულ, სასყიდლიან და უსასყიდლო გარიგებებს.

რა თქმა უნდა, ნაშრომში განხილულია გარიგების ფორმა. რადგან როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ფორმის დაცვა ასრულებს მნიშვნელოვან როლს გარიგებებში.

თემაში განხილულია ბათილი გარიგებები. ამასთან, ბათილი გარიგებების სახეები. რადგან ის მოიცავს მრავალ ასპექტს და საჭიროა მისი ცალკე ქვეთავად გაშლა.

ნაშრომში საუბარია შეცდომით დადებულ გარიგებებზე. რადგან პრაქტიკაში აქტუალურია მოცემული საკითხი. სასამართლო პრაქტიკამ გვანახა, რომ შეცდომით დადებული გარიგებები ერთ-ერთი ძირეული თემა, რომლის ხშირი განხილვა უწევს სასამართლოს. შესაბამისად, დიდი სასამართლო პრაქტიკა ამ თემის ირგვლივ.

თემა ეხება მოტყუებით დადებულ გარიგებებსაც. ვინაიდან, არც ეს საკითხი ჩამოუვარდება აქტუალობით ზემოაღნიშნულ თემებს. წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით ქართულ და უცხოურ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული თეორიები და მიდგომები. გამოირკვა მათ შორის მსგავსება- განსხვავებები.

კიდევ ერთი საკითხი ეხება იძულებით დადებულ გარიგებებს. იძულება თავის თავში მოიაზრებს პირზე გარკვეული სახის ზემოქმედებას, წნეხს, რომლის შედეგადაც პირი ახორციელებს მოძალადისათვის სასურველ ქმედებას, განსახილველ შემთხვევაში, დებს გარიგებას. იძულება მოიცავს, როგორც ძალადობას, რომელიც გულისხმობს პირდაპირი გაგებით ფიზიკურ ძალადობას, ისე მუქარას. სწორედ ამიტომ, იგი მოისაზრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად. ვინაიდან, სახეზე გვაქვს გარკვეული სახის ძალადობა.

ნაშრომის დასასრულს განხილულია უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხების ირგვლივ. როგორც უკვე აღვნიშნე, თემა ძალიან ვრცელი და მრავალფეროვანია. შესაბამისად, არსებობს ვრცელი და მრავალმხრივი სასამართლო პრაქტიკა მოცემულ თემებთან დაკავშირებით.

დასასრულისათვის, შევეცადე მოკლედ შემეფასებინა ნაშრომი, მისი აქტუალობა, კვლევის შედეგები და დასკვნები, რომლებიც გამოვიტანე მოცემულ თემაზე მუშაობის დროს. გავეცანი

არაერთ ლიტერატურულ ნაშრომს მოცემულ თემაზე, თეორიულ და პრაქტიკულ მასალას და შევეცადე ამომწურავად გადმომეცა ნაშრომში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თემა თავისი აქტუალობიდან გამომდინარე ძალიან მრავალფეროვანია. მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება წარმოშობს ბევრ სადაო საკითხებს, რაც განაპირობებს მრავალმხრივი სასამართლო პრაქტიკის და პრეცედენტების არსებობას მოცემული თემის ირგვლივ.

როგორც უკვე აღინიშნა, გარიგებები, ესაა თემა, რომელიც გამოიყენება ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში და მისი სწორედ რეგულირება ძალიან მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

როგორც კი ირღვევა მისი კანონით განსაზღვრული ფორმა, წარმოიშობა სადაო საკითხები, რომელთა გადაჭრაც სასამართლოს აკისრია.

ნათელია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში არ არის დარეგულირებული სრულებით ან იმდენად ზოგადად და ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში გარიგების მონაწილეებს ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი გამოყენებისას.

ნაშრომში განხილული სამართლებრივი ინსტიტუტები და მათ შორის არსებული მიმართების შეფასებამ საშუალება მოგვცა თეორიული და პრაქტიკული კუთხით წარმოგვეჩინა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

რა თქმა უნდა, ნაშრომშია განხილულია აღნიშნული თემები როგორც საქართველოს, ასევე ევროპის ქვეყნების მაგალითზე. საინტერესოა მათ შორის პარალელის გავლება, აღმოჩენა საერთო და განსხვავებული ასპექტების. თუ როგორ წესრიგდება ესა თუ ის ნორმა მათი კანონმდებლობის მიხედვით და რა პრაქტიკული მაგალითები არსებობს.

გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, გარიგებები გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა დარგებშიც, მაგალითად, საკორპორაციო და საბანკო სამართალში. ამიტომ გარიგებებთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული, გამოიყენება ყველა სახის კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომელთაც ნების გამოვლენა უდევთ საფუძვლად.

სწორედ ყოველივე ზემოთხსენებული განაპირობებს გარიგებების მასშტაბურობას, მის ასე ფართოდ გამოყენებას და ძალიან დიდი პრაქტიკული ბაზის არსებობას.

თემის სივრცელიდან გამომდინარე, შევეცადე მოკლედ მესაუბრა და დამეხასიათებინა გარიგების თითოეული სახე და ხაზი გამესვა მის ძირითად თვისებებზე.

აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი ასახავს ყველა ძირეულ საკითხს გარიგებებთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ი. დოლიძე 1977, ქართული სამართლის ძეგლები(ტომი მე-6),თბილისი,გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. ს.-ს ორბელიანი. (1991). ლექსიკონი ქართული (ტომი I). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
3. გ.თუმანიშვილი , გარიგებები, თბ, 2012.
4. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000.
5. ზ. ჭეჭელაშვილი. 2008,სახელმწიკრულებო სამართალი,თბილისი,გამომცემლობა „ბონაკაუზა“ .
6. ს. ჯორბენაძე ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები,1994.
7. ქ. ქოჩაშვილი, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 21.
8. ბ. ზოიძე,სკ-ის კომენტარი,წიგნი1,1999.
9. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009.
10. თ. ლაკერბაია, ხელმეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელმეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016.
11. ს. კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008.
12. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012.
13. თ.დარჯანია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.ბოლო დამუშავება: 24 დეკემბერი.
14. თ. ზამბახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005.
15. ავტორთა კოლექტივი „ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, 2002.
16. გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge.

უცხოური ლიტერატურა:

1. Koehler, BGB Allgemeiner Teil, 36. Aufl., 2012.
2. Markesinis/Unberat/Johnston, THE GERMAN LAW OF CONTRACT, Oxford and Portland, Oregon, 2006.
3. Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006.
4. MacMillan, Mistakes in Contract Law, Oxford and Portland, Oregon, 2010.
5. Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010.
6. Kötz/Flessner, Europäisches Vertragsrecht, Bd. 1, 1996.
7. Larenz/Wolf, AT des bürgerl. Rechts, 9. Aufl., 2004.
8. Tuhr, AT des bürgerl. Rechts, 1957.
9. Rührens/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16.
10. MüKo/Busch, BGB, 6 Aufl., 2012
11. Stephen A. Smith, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997.
12. Heinrich Dörner /HK-BGB, 10. Aufl. 2019.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქ.უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის #ას-1435-1450-2011 განჩინება.
2. საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 ივლისის # ას-598-569-2013 გადაწყვეტილება.
3. საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის # ას-1283-1538-09 გადაწყვეტილება, სუს სამოქალაქო საქმეებზე 10/2012.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 212; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის, 09 დეკემბრის №ას 15-29-1443-2012 განჩინება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

ვებ. გვერდები:

1. [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term &d=5&t=14958](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14958)
2. www.matsne.ge
3. www.civilcode.ge
4. www.newvision.ge
5. <http://www.lawreform.ie>;
6. <http://www.supremecourt.ge>;
7. <https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801>